# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 19 იანვარი 2008 №010 (3234) ფასი 50 თეთრი



## ბობი ფიშერი გარდაიცვალა

ისლანდიაში, 64 წლის ასაკში გარდაიცვალა გენიალური ამერიკელი მოჭადრაკე, მსოფლიოს მეთერთმეტე ჩემპიონი ბობი ფიშერი.

1943 წლის 9 მარტს ჩიკაგოში, გერმანელი ემიგრანტების ოჯახში დაიბადა ბიჭი, რომელმაც მთლიანად შეცვალა საჭადრაკო სამყარო. ბობი ფიშერი, ალბათ ყველა დროის ყველაზე გენიალური მოჭადრაკე იყო.

„ერთადერთი, რაც მინდა, გავაკეთო, ეს ჭადრაკის თამაშია" — ამბობდა ის და მთელი ათწლეულები ყველაფერს აკეთებდა საიმისოდ, რომ... ჭადრაკი არ ეთამაშა.

15 წლის ფიშერი ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა დიდოსტატი გახდა, ხოლო 1972 წელს რეიკიავიკში გამართულ ლეგენდარულ მატჩში 12,5:8,5 დაამარცხად ბორის სპასკი, მსოფლიოს ჩემპიონობა მოიპოვა და დაამხო საბჭოთა საჭადრაკო სკოლის ჰეგემონია.

ისედაც იდუმალებით მოსილი და კარჩაკეტილად მცხოვრები მსოფლიოს ჩემპიონობის შემდეგ საერთოდ გაქრა თვალსაწიერიდან. 1975 წელს მან უარი თქვა პრეტენდენტთა ციკლში გამარჯვებულ ანატოლი კარპოვთან მატჩზე, ტიტული დათმო, თუმც სიკვდილის დღემდე თავს მსოფლიოს ჩემპიონს უწოდებდა.

გენიალური, სკანდალური და იდუმალი კაცი მთელი ოცი წელი მხოლოდ მისთვის არსებულ სამყაროში ცხოვრობდა და 1992 წელსლა გამოჩნდა, რათა სპასკი 20 წლის წინანდელი დაპირისპირების რემატჩში 10:5 დაემარცხებინა. ეს შეხვედრა მაშინ სრულ პოლიტიკურ იზოლაციაში მყოფ სერბეთის დედაქალაქ ბელგრადში ჩატარდა და ამის გამო, ოდესღაც ამერიკის გმირი და სახე, სამშობლოდან მოიკვეთა.

ამერიკის მთავრობის მიერ ფიშერზე ძებნა გამოცხადდა და უდიდესმა მარტოსულმა პოლიტიკური თავშესაფარი ისლანდიაში ჰპოვა, სწორედ იქ, სადაც 1972 წელს მისი გენია სრულად გაბრწყინდა.

2004 წლიდან ბობი ფიშერი ისლანდიაში ცხოვრობდა და გუშინ, 18 იანვარს იქვე აღესრულა.

## რუსთავი რუსეთში თასზე

### საქართველოს ჩემპიონი დღეს სერბეთის ჩემპიონს ხვდება



## თბილავიამ რუსთავს გადაუფრინა

### ქორქია-საკანდელიძის მემორიალი ლევან მოსეშვილის გუნდმა მოიგო



## ევროპა გაღარიბდა

### ხვალიდან: აფრიკის ეროვნებათა თასი



ხვალ განაში აფრიკის ეროვნებათა თასის გათამაშება იწყება. ეს კი ნიშნავს, რომ 20 დღე ევროპა საუკეთესო აფრიკელი ფეხბურთელების გარეშე რჩება.

კლუბები ამის გამო სულ ჯავრობენ ხოლმე, მაგრამ კონტინენტის პირველობას ამის გამო, აბა, ვინ გააუქმებს.

## როდიკს სახლში ჯერ არ ელოდნენ





**Australian Open**

გუშინ სეზონის პირველ სლემტურნირზე პირველი სერიოზული ნალმი აფეთქდა. ამერიკელი ენდი როდიკი, ვინც როჯერ ფედერერის ერთ-ერთ უმთავრეს კონკურენტად ითვლებოდა, 29-ე ნომრად განთესილმა გერმანელმა ფილიპ კოლშრაიბერმა დრამატულ ხუთსეტიან მატჩში 6:4 3:6 7:6 6:7 8:6 დაამარცხა და ასეთი დონის მეჩოგნისთვის უჩვეულოდ ადრე გაისტუმრა სახლში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თანამეგობრობის თასი

## რა იქნება ოლიმპის ოლიმპი?

**A ჯგუფი**

ზენიტი (რუსეთი)
აშხაბადი (თურქმენეთი)
შერიფი (მოლდოვა)
ლევადია (ესტონეთი)

**B ჯგუფი**

ხაზარი (აზერბაიჯანი)
აქტობე (ყაზახეთი)
კაუნასი (ლიტვა)
რეგარ-ტადაზი (ტაჯიკეთი)

**C ჯგუფი**

ვენტსპილსი (ლატვია)
ოლიმპი (საქართველო)
ოფკ (სერბეთი)
დორდოი-დინამო (ყირგიზეთი)

**D ჯგუფი**

ფახთაქორი (უზბეკეთი)
ბატე (ბელარუსი)
დინამო (უკრაინა)
ბანანცი (სომხეთი)

### კალენდარი

**19 იანვარი**

14 საათი
1. ოფკ — ოლიმპი
2. ვენტსპილსი — დორდოი-დინამო

16 საათი
3. ხაზარი — კაუნასი
4. აქტობე — რეგარ-ტადაზი

18 საათი
5. ფახთაქორი — დინამო
6. ბანანცი — ბატე

20 საათი
7. ზენიტი — შერიფი
8. ლევადია — აშხაბადი

**20 იანვარი**

14 საათი
9. ვენტსპილსი — ოფკ
10. დორდოი-დინამო — ოლიმპი

16 საათი
11. კაუნასი — აქტობე
12. რეგარ-ტადაზი — ხაზარი

18 საათი
13. დინამო — ბატე
14. ფახთაქორი — ბანანცი

20 საათი
15. აშხაბადი — ზენიტი
16. შერიფი — ლევადია

**22 იანვარი**

14 საათი
17. ოლიმპი — ვენტსპილსი
18. ოფკ — დორდოი-დინამო

16 საათი
19. აქტობე — ხაზარი
20. კაუნასი — რეგარ-ტადაზი

18 საათი
21. ბატე — ფახთაქორი
22. დინამო — ბანანცი

20 საათი
23. ზენიტი — ლევადია
24. აშხაბადი — შერიფი

**23 იანვარი**

მეოთხედფინალი
25. C1 — D2
26. D1 — C2
27. B1 — A2
28. A1 — B2

**25 იანვარი**

ნახევარფინალი
29. 27 გამარჯვებული — 25 გამარჯვებული
30. 28 გამარჯვებული — 26 გამარჯვებული

**27 იანვარი**

ფინალი



[illegible] ფოტო

**უკრაინული** შეკრება უკრაინელი მთავარი მწვრთნელით დასრულდა — რუსთავის „ოლიმპი“ დღეს სანკტ პეტერბურგში „თანამეგობრობის თასზე“ ჩაერთვება.

ანატოლი პისკოვეცის გუნდმა ალუშტას შეკრებაზე მეტოქეებს სკალპი ააძრო, ვერავინ იტყვის — პირიქით, ძალიან მდარე შედეგები ჰქონდა და... იქნებ, ყველაფერი სასიკეთოდ სწორედ სანკტ პეტერბურგის მანეჟებში შემოტრიალდეს.

რუსთავის „ოლიმპი“ სერბეთის ოფკ-სთან მატჩით იწყებს ჯგუფურ ეტაპს, სადაც ამ ორის გარდა, ყირგიზული „დორდოი-დინამო“ და ლატვიური „ვენტსპილსი“ არიან.

ოფკ, თქმა არ უნდა, ერთ-ერთი ფავორიტია ჯგუფში და, ბუნებრივია, საქართველოს ჩემპიონთან მატჩშიც ასე იქნება.

პისკოვეცის რაზმში ბევრი ახალი ფეხბურთელია, მათ შორის, სამი უკრაინელი და ერთი მოლდოველი ლეგიონერი. ამადაც საინტერესოა, რა დონეზე ითამაშებენ პოტენციური ახალწვეულები.

ეს კარგია, მაგრამ რამდენი ფეხბურთელი წავიდა „ოლიმპიდან“, არ იკითხავთ?

ძალიან ბევრი არა, მაგრამ პირველ რიგში მთავარ ბომბარდირ რევაზ ჯიქიას მოსაკლისება კია აღსანიშნავი.

ბარემ აქვე ვთქვათ, რომ „ვენტსპილსს“ ამ ტურნირზე ვერ დაეხმარება ტრავმირებული ზურაბ მენთეშაშვილი, ხოლო „დორდოი-დინამოს“ რუსული პასპორტის მქონე ორი უცნობი ქართველი ჰყავს — მეკარე ბაჩუკი ფარულავა და ნახევარმცველი რუსლან უმარაშვილი.

მოკლედ, ვნახოთ, რას იზამს „ოლიმპი“ რუსულ დარბაზებში...

**ილია ნანობაშვილი**

## იაშვილის უგოლო და კონკურენტი

**სანდრო იაშვილი** ამჯერად უგოლოდ დაშვრა ამხანაგურ მატჩში, თუმც მხოლოდ 31 წუთი ითამაშა. სანდროს „თუნი“ 2:0 უგებდა ბაზელის „კონკორდიას“ და 2:2-ს დასჯერდა. „იაშკა“ შეცვლაზე შევიდა, როცა უკვე ოთხივე გოლი გატანილი იყო.

და კიდევ: „თუნმა“ „ბაზელის“ თავდამსხმელი ბურგმაიერი ინათხოვრა, რაც იაშვილისთვის გამაფრთხილებელი ნიშანია — ჩვენიანი ვერც პირველ წრეში ხვდებოდა მუდმივად ძირითადში და, შესაძლოა, უფრო გაუჭირდეს.

**ილია ნანობაშვილი**

რუსთავის „ოლიმპის“ შემდეგ ლიტვის ჩემპიონი „კაუნასი“ ყველაზე „ქართული“ გუნდი იქნება „თანამეგობრობის თასზე“. გივი კვარაცხელია, ნუკრი მანჩხავა და აკაკი ხუბუტია კაუნასელთა განაცხადში არიან. რა შანსები აქვს „კაუნასს“, ამის თაობაზე კვარაცხელიას ლიტველი ჟურნალისტი ესაუბრა...

## გავიდეთ და გავიდეთ!

— პირველი თამაში აზერბაიჯანის ჩემპიონ „ხაზართან“ გაქვთ, რომელსაც ჯგუფის ფავორიტად თვლიან. რას ელით ამ მატჩში?

— მოგებას. პირველ შეხვედრაზე ბევრია არის დამოკიდებული. სასურველია, ტურნირი მოგებით დავიწყოთ, ასეთ შემთხვევაში კარგი განწყობით გავაგრძელებთ ჯგუფში „სიცოცხლეს“.

— რას იტყვით მეტოქეზე?

— ვიცით, რომ ტექნიკურ ფეხბურთს თამაშობენ და კავკასიელებისგან ეს გასაკვირი არ არის. ისიც ვიცით, რომ ძლიერი გუნდია ფინანსურად, მაგრამ ამან ჩვენზე არ უნდა იმოქმედოს, რადგან ფეხბურთს ფული კი არა, ფეხბურთელები თამაშობენ.

— ტურნირზე „კაუნასის“ შანსები როგორია?

— პირველი ამოცანა ჯგუფიდან გასვლაა, მერე ფინალამდე მიღწევა, სადაც უკან დასახევი გზა უკვე აღარ იქნება, თუმც ჯერ მხოლოდ პირველ მატჩზე და ჯგუფიდან გასვლაზე ვფიქრობთ.

— ჯგუფში კიდევ ორი მატჩი გელით, „აქტობესთან“ და „რეგარ-ტადაზთან“...

— ისინი აზერბაიჯანელებს ჩამოუვარდებიან, თუმც რადგან თავიანთი ქვეყნების ჩემპიონები არიან, სერიოზულად უნდა მივიჩნიოთ. ჯგუფიდან გასვლის შანსი ოთხივე გუნდს აქვს.

— როგორც გსურდათ, ტურნირისთვის ისე მოემზადეთ?

— კარგი შეკრება გავიარეთ მინსკში, ხელოვნურსაფარიან მანეჟში. ტურნირისთვის მზად ვართ და გვინდა, კარგი ფეხბურთი ვაჩვენოთ

## მენთეშაშვილი ოლიმპამდე ტკივილმა აღარ მიუშვა

**გერმანული** „კაიზერსლაუტერნის“ ვარიანტი ჯერ კიდევ გასული წლის ბოლოს დამთავრდა, საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი ზურაბ მენთეშაშვილი ლატვიურ „ვენტსპილსში“ დარჩა და ახლა საინტერესო ისაა, ჩვენიანი „შინიკიდან“ განათხოვრებით წავა თუ სრულყოფილ კონტრაქტს გააფორმებს ლატვიელებთან.

„ვენტსპილსი“ კი სანკტ პეტერბურშია და დღეს „თანამეგობრობის თასზე“ ჩაერთვება. მენთეშაშვილი ტრავმის გამო ვერ ითამაშებს რუსეთში — ასე იუწყება ლატვიური კლუბის ვებგვერდი.

შეგახსენებთ: „ვენტსპილსი“ რუსთავის „ოლიმპთან“ ერთადაა ჯგუფში.

**ილია ნანობაშვილი**



გუშინ ავარიაში დაიღუპნენ საზოგადოებრივი მაუწყებლის სპორტული ჟურნალისტი **ზურაბ ჯამასპიშვილი** და ოპერატორი **მიხეილ ოქრომჭედლიშვილი**. სარბიელელები თანავუგრძნობთ დაღუპულთა ოჯახებს

### ინგლისი

I ლიგა. XXVII ტური
ჰარტლპული 0:2 ჩელტენემი

### საფრანგეთი

II დივიზიონი
XXI ტური
ამიენი 2:2 დიჟონი
ბასტია 4:0 ბრესტი
შატორუ 1:1 გენიონი
გენგამი 1:1 აიაჩო
ლე ავრი 1:1 ლიბურნი
მონპელიე 3:0 ბულონი
რეიმსი 3:4 გრენობლი
სედანი 1:0 ნიორი
ანჟერი 0:1 ტრუა

### ბელგია

იუპილერლიგა
XVIII ტური
მონსი 0:1 ბრიუგე

### ჰოლანდია

ერედივიზიონი. XX ტური
ექსელსიორი 2:1 ფეიენოორდი
II დივიზიონი
XXIV ტური
აპელდორნი 2:3 სიტარდი
დენ ჰააგი 2:1 დორდრეხტი
ეინდჰოვენი 2:2 ჰაარლემი
ალმერე 4:1 ემენი
იგლსი 1:2 ვოლენდამი
მაასტრიხტი 1:1 ვალვაიკი
როზენდალი 1:0 კამბური
ტელსტარი 1:1 ოსი
ვეენდამი 2:2 ზვოლე

### ამხანაგური მატჩები

სტაბეკი 0:2 მადურეირა
გლადბახი 3:3 იანგ ბოისი
სტიაუა 0:0 ვისლა
კოტბუსი 8:0 ზარია
ალემანია 1:2 ჰამბურგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოლიმპის ჯგუფი






## ვენტსპილსი

ვენტსპილსი

დაარსდა 1997 წელს.

პრეზიდენტი: იური ბესპალოვი

მწვრთნელი: ნიკოლაი გრიგორჩუკი

ლატვიის ჩემპიონი (2006, 07), ლატვიის თასის მფლობელი (2003, 04, 05, 07), „თანამეგობრობის თასის" ფინალისტი (2007)

„თანამეგობრობის თასზე": 6 თამაში, 2 მოგება, 4 ფრე, 0 წაგება, ბურთები 7:4

### ლატვიის ჩემპიონატი 2007

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვენტსპილსი | 28 | 18 | 6 | 4 | 59:16 | 60 |
| მეტალურგსი | 28 | 18 | 4 | 6 | 42:21 | 58 |
| რიგა | 28 | 17 | 6 | 5 | 48:28 | 57 |
| სკონტო | 28 | 16 | 7 | 5 | 54:27 | 55 |
| დაუგავა | 28 | 9 | 6 | 13 | 33:38 | 33 |
| იურმალა | 28 | 7 | 5 | 16 | 28:51 | 26 |
| დინაბურგი | 28 | 6 | 2 | 20 | 23:58 | 20 |
| ოლიმპსი | 28 | 2 | 2 | 24 | 15:63 | 8 |

### შემადგენლობა

**მეკარეები**

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | მარის ელტერმანისი | ლატვია | 16.10.81 |
| 16 | ანდრის ვანინი | ლატვია | 30.04.80 |

**მცველები**

| | | | |
|---|---|---|---|
| 2 | ალექსეი სოლეიჩუკი | ლატვია | 12.02.80 |
| 3 | დენის სოკოლსკი | ლატვია | 25.08.81 |
| 8 | დენის კაჩანოვი | ლატვია | 27.11.79 |
| 12 | იგორ სავჩენკოვი | ლატვია | 03.11.82 |
| 17 | ჟან-პოლ ნდეკი | კამერუნი | 27.10.82 |
| 25 | ვლადიმირ ბესპალოვი | ლატვია | 22.06.88 |
| 31 | საშა ცილინშეკი | სერბეთი | 28.01.82 |

**ნახევარმცველები**

| | | | |
|---|---|---|---|
| 4 | ზახარ დუბენსკი | რუსეთი | 19.10.78 |
| 5 | ევგენი კოსმაჩევი | ლატვია | 18.02.88 |
| 7 | სერგეი ზანგარეევი | რუსეთი | 03.10.80 |
| 10 | ზურაბ მენთეშაშვილი | საქართველო | 30.01.80 |
| 14 | მიხაილ ზიზილევი | ლატვია | 27.12.73 |
| 21 | არტიომ გონჩარი | ლატვია | 24.09.84 |
| 22 | იგორ ციგირლაში | მოლდოვა | 24.02.84 |
| 24 | არტის ლაზდინში | ლატვია | 03.05.86 |

**თავდამსხმელები**

| | | | |
|---|---|---|---|
| 6 | ალექსანდრ მისიკოვი | რუსეთი | 13.08.88 |
| 9 | ვიტას რიმკუსი | ლატვია | 21.06.73 |
| 11 | ვლადიმირ კოლესნიჩენკო | ლატვია | 04.05.80 |
| 13 | იგორ სლესარჩუკი | ლატვია | 31.03.76 |
| 15 | კრისტაპს გრებისი | ლატვია | 13.12.80 |
| 18 | სერგეი სერნეცკი | უკრაინა | 30.08.81 |
| 23 | ანდრეი ბუტრიკი | ლატვია | 20.12.82 |



## ოლიმპი




რუსთავი

დაარსდა 1991 წელს.

ადრე ერქვა: „მერანი 91" (1991-2002), „მერანი-ოლიმპი" (2003), „თბილისი" (2003-2006)

პრეზიდენტი: ვახტანგ თამაზაშვილი

მწვრთნელი: ანატოლი პისკოვეცი

საქართველოს ჩემპიონი (2007)

### საქართველოს ჩემპიონატი 2007

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპი | 26 | 19 | 6 | 1 | 57:9 | 63 |
| დინამო | 26 | 20 | 2 | 4 | 57:19 | 62 |
| ამერი | 26 | 17 | 6 | 3 | 53:14 | 57 |
| ზესტაფონი | 26 | 16 | 9 | 1 | 55:11 | 57 |
| ვიტ ჯორჯია | 26 | 12 | 9 | 5 | 40:28 | 45 |
| სიონი | 26 | 11 | 4 | 11 | 28:26 | 37 |
| ტორპედო | 26 | 9 | 4 | 13 | 24:35 | 31 |
| ლოკომოტივი | 26 | 8 | 6 | 12 | 25:34 | 30 |
| ბათუმი | 26 | 8 | 6 | 12 | 27:30 | 30 |
| ბორჯომი | 26 | 8 | 6 | 12 | 29:35 | 30 |
| მერანი | 26 | 6 | 8 | 12 | 20:41 | 26 |
| ჩიხურა | 26 | 5 | 6 | 15 | 13:46 | 21 |
| დილა | 26 | 3 | 6 | 17 | 21:56 | 15 |
| კახეთი | 26 | 0 | 2 | 24 | 21:86 | 2 |

### შემადგენლობა

**მეკარეები**

| | | |
|---|---|---|
| მირზა მერლანი | საქართველო | 05.10.80 |
| ბექა შეყრილაძე | საქართველო | 28.11.83 |

**მცველები**

| | | |
|---|---|---|
| მიხეილ მახვილაძე | საქართველო | 22.07.78 |
| ნიკა მგელაძე | საქართველო | 20.12.85 |
| სერგო ორბელაძე | საქართველო | 01.05.82 |
| თემურ ფარულავა | საქართველო | 20.07.83 |
| ლევან სილაგაძე | საქართველო | 04.08.76 |
| დავით ჭიჭველიშვილი | საქართველო | 23.10.75 |

**ნახევარმცველები**

| | | |
|---|---|---|
| დავით დევდარიანი | საქართველო | 28.10.87 |
| ვლადიმერ ჯოჯუა | საქართველო | 05.12.80 |
| გიორგი იაშვილი | საქართველო | 29.09.88 |
| გიორგი კახელიშვილი | საქართველო | 22.05.87 |
| სერგეი პატულა | უკრაინა | |
| არჩილ სებისკვერაძე | საქართველო | 14.09.89 |
| ნიკა სტეფანიშვილი | საქართველო | 23.04.81 |
| გელა ხუბუა | საქართველო | 25.01.84 |

**თავდამსხმელები**

| | | |
|---|---|---|
| რევაზ გეწაძე | საქართველო | 11.01.85 |
| ანტონ კოვალეცკი | უკრაინა | |
| ვახტანგ კვარაცხელია | საქართველო | 30.03.88 |
| ზვიად მეტრეველი | საქართველო | 28.11.85 |
| ალექსანდრ ემელიანოვი | უკრაინა | |
| ალექსანდრ პოპოვიჩი | მოლდოვა | 09.04.77 |




## ოფკ ბელგრადი

დაარსდა 1911 წელს.

ადრე ერქვა: ბსკ (1911-45, 1950-57), „მეტალაცი" (1945-50)

პრეზიდენტი: მომჩილო მინიჩი

მწვრთნელი: ბრანისლავ ვუკაშინოვიჩი

იუგოსლავიის ჩემპიონი (1931, 33, 35, 36, 39), იუგოსლავიის თასის მფლობელი (1953, 55, 62, 66)

„თანამეგობრობის თასზე": 4 თამაში, 2 მოგება, 1 ფრე, 1 წაგება, ბურთები 7:5

### სერბეთის ჩემპიონატი 2007

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1-6 ადგილები | | | | | | |
| ცრვენა ზვეზდა | 32 | 23 | 5 | 4 | 53:25 | 74 |
| პარტიზანი | 32 | 18 | 3 | 11 | 47:31 | 57 |
| ვოივოდინა | 32 | 16 | 6 | 10 | 36:23 | 54 |
| ბეჟანიჯა | 32 | 12 | 12 | 8 | 36:31 | 48 |
| ჰაიდუკი | 32 | 14 | 4 | 14 | 29:30 | 46 |
| მლადოსტი | 32 | 11 | 8 | 13 | 25:33 | 41 |
| 7-12 ადგილები | | | | | | |
| ოფკ | 32 | 14 | 8 | 10 | 49:29 | 50 |
| სმედერევო | 32 | 12 | 7 | 13 | 33:39 | 43 |
| ბანატი | 32 | 12 | 6 | 14 | 36:44 | 42 |
| ბორაცი | 32 | 10 | 8 | 14 | 26:30 | 38 |
| ვოჟდოვაცი | 32 | 10 | 7 | 15 | 32:45 | 37 |
| ზემუნი | 32 | 1 | 4 | 27 | 22:64 | 7 |

### შემადგენლობა

**მეკარეები**

| | | |
|---|---|---|
| ჯორჯე ტოპალოვიჩი | სერბეთი | 11.01.77 |
| ბოიან შარანოვი | სერბეთი | 22.10.87 |

**მცველები**

| | | |
|---|---|---|
| საშა ბალიჩი | სერბეთი | 29.01.90 |
| ნოვიცა მილენოვიჩი | სერბეთი | 14.01.89 |
| მილოშ მრვალევიჩი | სერბეთი | 13.02.89 |
| ნემანია პეიჩინოვიჩი | სერბეთი | 04.11.87 |
| ნებოისა სკოპლიაკი | სერბეთი | 12.05.87 |
| იანკო სიმოვიჩი | სერბეთი | |
| დუშან ცვეტინოვიჩი | სერბეთი | 24.12.88 |

**ნახევარმცველები**

| | | |
|---|---|---|
| მილოშ ადამოვიჩი | სერბეთი | 19.06.88 |
| გორან ბრკიჩი | სერბეთი | |
| ირფან ვუსლიანინი | სერბეთი | 07.01.86 |
| მილოშ ჟერავიცა | სერბეთი | 22.07.88 |
| დარკო კარაჯიჩი | სერბეთი | 17.04.89 |
| ვლადიმირ კლაიჩი | სერბეთი | |
| ზორან მილოვაცი | სერბეთი | 29.10.88 |
| იგორ მიშანი | სერბეთი | 05.05.90 |
| უილიამ ოლივეირა | სერბეთი | 20.10.82 |

**თავდამსხმელები**

| | | |
|---|---|---|
| პეტარ ელიჩი | სერბეთი | |
| ფილიპ კასალიცა | სერბეთი | 17.12.88 |
| ნემანია მილიჩი | სერბეთი | 25.05.90 |
| სტეფან შეპოვიჩი | სერბეთი | 10.01.90 |

## დორდოი-დინამო ნარინი

დაარსდა 1997 წელს.

პრეზიდენტი: ასკარ სალიმბეკოვი

მწვრთნელი: ბორის ბოდკორიტოვი

ყირგიზეთის ჩემპიონი (2001, 05, 06, 07), ყირგიზეთის თასის მფლობელი (2004, 05, 06)

„თანამეგობრობის თასზე": 9 თამაში, 0 მოგება, 1 ფრე, 8 წაგება, ბურთები 3:24

### ყირგიზეთის ჩემპიონატი 2007

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დორდოი | 32 | 24 | 4 | 4 | 73:19 | 76 |
| აბდიშ-ატა | 32 | 20 | 7 | 5 | 65:23 | 67 |
| ჟაშტიკი | 32 | 16 | 7 | 9 | 58:39 | 55 |
| ლოკომოტივი | 32 | 16 | 5 | 11 | 36:38 | 53 |
| ალაი | 32 | 16 | 3 | 13 | 48:32 | 51 |
| ნეფთჩი | 32 | 12 | 6 | 14 | 36:30 | 42 |
| შერი | 32 | 11 | 6 | 15 | 53:48 | 39 |
| აბდიშ-ატა | 32 | 5 | 3 | 24 | 33:95 | 18 |
| კანტ-77 | 32 | 2 | 3 | 27 | 11:89 | 9 |

### შემადგენლობა

**მეკარეები**

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ვალერი კაშუბა | ყირგიზეთი | 14.09.84 |
| 16 | ბაჩუკი ფარულავა | რუსეთი | 05.04.85 |

**მცველები**

| | | | |
|---|---|---|---|
| 3 | ტალანტ სამსალიევი | ყირგიზეთი | 27.04.80 |
| 4 | რუსლან სადიკოვი | ყირგიზეთი | 04.01.75 |
| 8 | ნარეკ მირზოევი | რუსეთი | 20.08.87 |
| 13 | დავრონ ასკაროვი | ყირგიზეთი | 06.01.88 |
| 14 | ალექსეი გალკინი | რუსეთი | 01.04.87 |
| 20 | იგორ კუდრენკო | ყირგიზეთი | 13.11.78 |

**ნახევარმცველები**

| | | | |
|---|---|---|---|
| 2 | დანიელ ტაგო | განა | 03.03.86 |
| 5 | სერგეი კნიაზევი | ყირგიზეთი | 10.08.81 |
| 6 | ელაიჯა არიი | განა | 06.11.87 |
| 7 | აიბეკ ბოკოევი | ყირგიზეთი | 04.01.82 |
| 9 | რუსლან უმარაშვილი | რუსეთი | 20.01.85 |
| 11 | აზამატ იშენბაევი | ყირგიზეთი | 19.06.78 |
| 12 | ილდარ ამიროვი | ყირგიზეთი | 09.10.87 |
| 18 | ვადიმ ხარჩენკო | ყირგიზეთი | 28.05.86 |
| 19 | მაკა კოუმი | კამერუნი | 16.05.85 |

**თავდამსხმელები**

| | | | |
|---|---|---|---|
| 10 | მირლან მურზაევი | ყირგიზეთი | 29.03.90 |
| 15 | დევიდ ტეტე | განა | 10.08.85 |
| 17 | უილიამ გიანი | განა | 31.12.85 |



# ექვსში ექვსზე

**საქართველოს** ნაკრები 6 თებერვალს 2008 წლის პირველ მატჩს ჩაატარებს ლატვიელებთან. გარდა ოფიციალური მატჩებისა, ბალტიისპირელებთან შეხვედრა ერთადერთი საშინაო იმ ამხანაგური თამაშებიდან, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას რომ აქვს დაგეგმილი მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩებისთვის მოსამზადებლად.

სფფ-მ უკვე დაადგინა მატჩის დაწყების დრო, რომელიც ეროვნულ სტადიონზე გაიმართება — 18 საათი.

შეგახსენებთ: ეს იქნება საქართველოსა და ლატვიის ნაკრებთა მეხუთე შეხვედრა. წინა ოთხიდან 2 ქართველებმა მოიგეს, ერთი ფრედ ითამაშეს და ერთიც წააგეს. ბურთების შეფარდებაც ქართველთა მხარესაა — 7:5.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



# ტესტი ათი ათზე

**საქართველოს** ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშე გუნდები სამეოურწრეოდ ემზადებიან და ტესტ-მატჩებსაც ატარებენ.

გუშინ 35-ე სკოლის ხელოვნურსაფარიან მოედანზე „ზესტაფონმა“ და ცხინვალის „სპარტაკმა“ ითამაშეს ამხანაგურად. მოედნის არასტანდარტულობის გამო გუნდები 10-10 ფეხბურთელით იყვნენ.

იმერლებმა პირველ ტაიმში ორჯერ გაიტანეს, რასაც ცხინვალელებმა მეორე ტაიმში მხოლოდ ერთით უპასუხეს და თემურ მახარაძის გუნდმა 2:1 მოიგო.

„ზესტაფონი“ 33-ე წუთზე ჟილვან ვიეირას კარგი გადაცემის შემდეგ გიორგი ნუგზარის ძე ჭელიძემ დააწინაურა, ტაიმის მიწურულს კი ბექა გოცირიძემ ისარგებლა მცველების უყურადღებობით და თავზე გადაავლო ბურთი ბესიკ კოდალაევს.

სანამ „ზესტაფონი“ გოლებს გაიტანდა, მანამდე, 25-ე წუთზე გიორგი ბეგოიძემ შეაგდო, თუმცა მსაჯმა თამაშგარე დააფიქსირა.

პირველ ნახევარში უპირატესობას თემურ მახარაძის გუნდი ფლობდა, მეორეში კი თანაბარი თამაში იყო. სპარტაკელთაგან 65-ე წუთზე ერთი ბურთი დავით ბახტურიძემ გაქვითა. თუმცა ცხინვალელებმა მეტი ვეღარ შეძლეს. როგორც „სპარტაკის“ მწვრთნელმა კობა ჟორჟიკაშვილმა გვითხრა, ვინც ამ მატჩში მონაწილეობდა, უმრავლესობა გასინჯვაზეა.

***ზესტაფონი:** რ. კასხვაძე (გაბუნია 46), ზ. ბახტურიძე (ვაჟამელაშვილი 72), თოდუა (ხუმარაშვილი 65), ხუციაა (კამლაძე 77), რ. ონიანი, დაუშვილი (ნ. კასხვაძე 46), ხიდეშელი (ბენაშვილი 46), გ. ჭელიძე (მიშოო 46), ვიეირა (ცეხანი 46), ბ. გოცირიძე (იონანიძე 46).*

***სპარტაკი:** კოდალაევი, მანთიძე, ქემოკლიძე, მაჩალაძე, მიქელთაძე, ი. მოდებაძე, მახარაშვილი, ხუციშვილი, ბეგოიძე, ქერაშვილი.*

*შეცვლაზე შევიდნენ: ლაბაძე, დ. ბახტურიძე, სოსიაშვილი, ქავთარაძე, გაბუნია.*

მორიგ საკონტროლო შეხვედრას „ზესტაფონი“ ხვალ ბოლნისის „სიონთან“ გამართავს.

**ნუკრი ლოლაძე**

# გოგუა საუკეთესო სეზონს დაუბრუნდა

„**გოგიტა გოგუა** დავიბრუნეთ“ — განუცხადა რუს ჟურნალისტებს ნალჩიკის „სპარტაკის“ მწვრთნელმა იური კრასნოჟანმა. მისი სიტყვებიდან ჩანს, რომ გოგუა რუსეთის პრემიერლიგის ახალ სეზონს ყაბარდოულ გუნდში შეხვდება, თუმცა უცნობია, ისევ იჯარით ითამაშებს, თუ ნალჩიკელებმა მისი ტრანსფერი საბოლოოდ გამოისყიდეს.



დავიბრუნეთო, კრასნოჟანმა იმიტომ თქვა, რომ 2006 წლის სეზონი გოგუამ სწორედ „ნალჩიკში“ გაატარა მისი მწვრთნელობისას და, შეიძლება ითქვას, საუკეთესო იყო ქართველი ფეხბურთელის კარიერაში.

გოგუა ალექსანდრე ამისულაშვილთან ერთად მეორე ქართველი იქნება ნალჩიკელთა გუნდში.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# შოთა გოლებში მეხუთეა

**შოთა არველაძე** ეროვნულ ჩემპიონატებში გატანილი გოლებით, მოქმედ ფეხბურთელებს შორის მეხუთე ადგილზეა — ეს მონაცემები ფეხბურთის საერთაშორისო სტატისტიკის ასოციაციამ გამოაქვეყნა.

ესპანური „ლევანტეს“ ქართველ ფორვარდს თბილისის „დინამოში“, თურქულ „ტრაბზონსპორში“, ჰოლანდიურ „აიაქსში“, შოტლანდიურ „რეინჯერსსა“ და ჰოლანდიურ „ალკმაარში“ 426 მატჩში 263 გოლი გაუტანია.

ხუთეულში არველაძე ერთადერთია, ვისაც ეს გოლები წონად ჩემპიონატებში აქვს გატანილი. აბა, სად ჰოლანდიაში ან შოტლანდიაში გოლაობა და სად — გვატემალაში, ესტონეთში ან უელსში.

საქართველოს ნაკრების ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირს მხოლოდ სამი გოლით უსწრებს ესტონური „ტრანსის“ თავდამსხმელი მაქსიმ გრუზნოვი, პირველ ადგილზე კი „სიუდად დე გვატემალას“ მეგოლე ხუან კარლოს პლატაა 281 გატანილით.

თუმც ძნელად სავარაუდოა, შოთა ამ სიაში როდესმე პირველ ადგილზე გადავიდეს — მას ახლაც ტრავმა აწუხებს და კარიერის დასრულებამდეც ბევრი აღარ დარჩენია.

ახლა კი ამ სიის 21 მთავარმეგოლეს გთავაზობთ, რომლებსაც 200-ზე მეტი გოლი გაუტანიათ:

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. ხუნ კარლოს პლატა (სიუდადი) | გვატემალა | 496 | 281 |
| 2. მარკ უილიამსი (ნიუტონი) | უელსი | 283 | 268 |
| 3. გლენ ფერგიუსონი (ლინფილდი) | ჩრდ. ირლანდია | 520 | 268 |
| 4. მაქსიმ გრუზნოვი (ტრანსი) | უელსი | 351 | 266 |
| 5. **შოთა არველაძე** (ლევანტე) | საქართველო | 462 | 263 |
| 6. ჰაქან შუქური (გალათასარაი) | თურქეთი | 517 | 261 |
| 7. დემიენ მორი (მარ-ნერი) | ავსტრალია | 493 | 259 |
| 8. ვიქტორ არისტისაბალი (მედელინი) | კოლუმბია | 487 | 248 |
| 9. ჰენრიკ ლარსონი (ჰელსინგბორგი) | შვედეთი | 431 | 247 |
| 10. ხუან რივასი (დეგაინა) | ვენესუელა | 533 | 243 |
| 11. ხარედ ბორხეტი (კრუზ ასული) | მექსიკა | 432 | 238 |
| 12. მარიო ჟარდელი (ნიუკასლ ჯეტსი) | ბრაზილია | 273 | 231 |
| 13. როი მაკაი (ფეიენოორდი) | ჰოლანდია | 460 | 231 |
| 14. რივალდო (აეკ) | ბრაზილია | 462 | 229 |
| 15. რონალდო (მილანი) | ბრაზილია | 310 | 217 |
| 16. ჯაფარ ირისმეტოვი (ალმატი) | უზბეკეთი | 352 | 217 |
| 17. მიხაილ მიხოლაპსი (შახტიორი) | ლატვია | 300 | 211 |
| 18. სიგურდ რუშფელდტი (ტომსიო) | ნორვეგია | 390 | 211 |
| 19. სერხიო რეი (მედელინი) | კოლუმბია | 520 | 208 |
| 20 რუუდ ვან ნისტელროოი (რეალი) | ჰოლანდია | 299 | 203 |
| 21. ტიერი ანრი (ბარსელონა) | საფრანგეთი | 387 | 202 |



# მესხეთი: ჯერ შინ, მერე გარეთ

**ორი** დღეა, უმაღლესი ლიგის დებიუტანტმა ახალციხის „მესხეთმა“ მზადება დაიწყო.

ახალციხელთა გუნდი უკვე დატოვეს ლეგიონერმა ჰაიკ აკოფიანმა, ალექსანდრე კაიდარაშვილმა, ზვიად ჩხეტიანმა და გიგა ჭყანიამ. შემატებით კი მხოლოდ ზურაბ მუშკუდიანი შეიმატეს, რომელიც პირველ წრეში პირველლიგელ ჭიათურის „მაღაროელში“ თამაშობდა. მესხები რამდენიმე ფეხბურთელის დამატებას კიდევ აპირებენ, თუმც გვარ-სახელები ჯერ უცნობია.

„თუ გავითვალისწინებთ, რომ პირველმა წრემ 12-14 ფეხბურთელზე გადაიარა, ოთხის წასვლა დიდი დანაკლისია. ჯერ მხოლოდ მუშკუდიანი დავიმატეთ, კიდევ რამდენიმეს დამატებას ვაპირებთ, თუმც ვინ იქნებიან ისინი, ხელმძღვანელობასთან ერთად გადავწყვეტთ... რაც შეეხება ვარჯიშებს, ცუდი ამინდების გამო გვიან დავიწყეთ. იანვრის ბოლომდე ახალციხეში მოვემზადებით, შემდეგ კი თბილისში გავაგრძელებთ წვრთნას და რამდენიმე საკონტროლო მატჩსაც ვითამაშებთ“ — გვითხრა „მესხეთის“ მწვრთნელმა კობა თედიაშვილმა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# გამოსაცდელი შეკრება

**უკრაინული** „ხარკოვის“ მთავარ მწვრთნელ ვლადიმირ ბესონოვს ორი ქართველი ფეხბურთელი მიჰყავს თურქულ შეკრებაზე — ოთარ მარცვალაძე და კახა ალადაშვილი, თუმც მათი ხარკოვურ გუნდში დარჩენის საკითხი საბოლოოდ გადაწყვეტილი არ არის.

„მარცვალაძე და ალადაშვილი კიევის „დინამოს“ ეკუთვნიან და მათი ჩვენს გუნდში დარჩენის თაობაზე ჯერჯერობით ვერაფერს ვიტყვი, რადგან ისინი საქმეში სრულყოფილად არ მინახავს. ალადაშვილმა პირველი საკონტროლო მატჩი გამოტოვა, მარცვალაძემ — მეორე. ჩვენი სურვილია, ორივე მათგანი მეორე შეკრებაზე წავიყვანოთ და მათი შესაძლებლობები უკეთ ვნახოთ“ — განცხადა ბესონოვმა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# აზერული ქართველობა

**ბაქოს** „ნეფთჩიმ“ მეორე საკონტროლო მატჩი გამართა. ალმატის „კაირატთან“ ბაქოელები 0:2-ს აგებდნენ, თუმც გიორგი ადამიას დუბლით, რომელიც მოედანზე მეორე ტაიმში გამოჩნდა, ფრე გაახერხეს.

როგორც ჩანს, ადამია ძველ ფორმას იბრუნებს და ეს ორი გოლი ახალი მწვრთნელის, ანატოლი დემიანენკოს ხელში კარგი პერსპექტივაა ძირითადისკენ.

იგივეს ვერ ვიტყვით „ნეფთჩიში“ გასინჯვაზე მყოფ თეიმურაზ ხარჩილაძეზე. დემიანენკომ ჩვენებური „კრივბასთან“ და „კაირატთან“ მატჩებში გამოსცადა, თუმც მის დატოვებაზე უარი თქვა.

გოლით გამოირჩა აგდამის „ყარაბახის“ ქართველი გოგა ბერიაიც, თუმც მისმა ერთმა გოლმა გუნდს ვერ უშველა. აგდამელები 1:4 დამარცხდნენ თურქეთის მესამელიგელ „თოქასფორთან“.

ალეკო გოგობერიშვილისა და ამირან მუჯირის „ბაკიმ“ კი 0:1 წააგო გერმანულ „კოტბუსთან“. გოგობერიშვილმა პირველი ტაიმი ითამაშა, მუჯირმა კი — სრულად.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ფუტსალი ბოლო ადგილზე

**საქართველოს** ფუტსალის ნაკრებმა უსახელოდ დაასრულა ბაქოს ოთხთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც აზერბაიჯანის, ყაზახეთისა და ბაქოს ნაკრებები თამაშობდნენ.

ყაზახებთან და აზერბაიჯანელებთან ერთნაირი ანგარიშით, 1:3-ით დამარცხების შემდეგ, ტურნირის ბოლო დღეს ჩვენებმა ბაქოს ნაკრებთანაც წააგეს (1:2) და ბოლო ადგილი დაიკავეს.

პირველ ადგილზე კი აზერბაიჯანელები გავიდნენ — გუშინ მათ გადამწყვეტ მატჩში 4:3 სძლიეს ყაზახებს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

## აფრიკის ეროვნებათა თასი 2008

# ფეხბურთი დიდ და ჭრელ მიწაზე






### A ჯგუფი

განა, გვინეა, ნამიბია, მაროკო

20 იანვარი
განა — გვინეა
21 იანვარი
ნამიბია — მაროკო
24 იანვარი
გვინეა — მაროკო
განა — ნამიბია
28 იანვარი
განა — მაროკო
გვინეა — ნამიბია

### B ჯგუფი

ნიგერია, კოტ დივუარი, მალი, ბენინი

21 იანვარი
ნიგერია — კოტ დივუარი
მალი — ბენინი
25 იანვარი
კოტ დივუარი — ბენინი
ნიგერია — მალი
29 იანვარი
ნიგერია — ბენინი
კოტ დივუარი — მალი

### C ჯგუფი

ეგვიპტე, კამერუნი, სუდანი, ზამბია

22 იანვარი
ეგვიპტე — კამერუნი
სუდანი — ზამბია
26 იანვარი
კამერუნი — ზამბია
ეგვიპტე — სუდანი
30 იანვარი
ეგვიპტე — ზამბია
კამერუნი — სუდანი

### D ჯგუფი

ტუნისი, სენეგალი, ს. აფრიკა, ანგოლა

23 იანვარი
ტუნისი — სენეგალი
ს. აფრიკა — ანგოლა
27 იანვარი
სენეგალი — ანგოლა
ტუნისი — ს. აფრიკა
31 იანვარი
ტუნისი — ანგოლა
სენეგალი — ს. აფრიკა

### მეოთხედფინალი

3 თებერვალი
**A1 - B2 (I)** | **B1 - A2 (II)**
4 თებერვალი
**C1 - D2 (III)** | **D1 - C2 (IV)**

### ნახევარფინალი

7 თებერვალი
**I** წყვილის გამარჯვებული — **IV** წყვილის გამარჯვებული
**II** წყვილის გამარჯვებული — **III** წყვილის გამარჯვებული

### მატჩი მესამე ადგილისთვის

9 თებერვალი

### ფინალი

10 თებერვალი



**აფრიკა** ძალიან დიდი და ჭრელი მიწაა. ევროპელები და აზიელები მის მისადგომებთან უხსოვარი დროიდან დაცურავდნენ და ამ უკიდეგანო სამყაროს მხოლოდ ერთი ციდა ნაწილს იცნობდნენ ეგვიპტელების, მათი მომნუსხველი ნაგებობების, შავტუხა აბისინიელების, უფრო შავტუხა მავრების, ნუმიდიელ-ბერბერების სახით.

მათ უკან კი იდუმალი, მთვლემარე უდაბნო გაწოლილიყო, რომელიც დროდადრო გამოილვიძებდა და ისეთ ამბავს ატეხდა, რომ მტვრის ფარდის იქით შეჭყეტის მნდომ ისედაც ერთ მუჭა ცნობისმოყვარეებს ყველაფრის ხალისს უკარგავდა. რა ფერი იყო სამყარო ქვიშის ზღვის იქით, ეს ალბათ მხოლოდ დედა-ნილოსს წამოყოლილმა ნიანგებმა თუ იცოდნენ.



მერე ევროპამ აფრები აუშვა, ხელში ჩინეთიდან ჩამოტანილი კომპასი მოიმარჯვა და ჰორიზონტის ხაზის დაჭერა მოინდომა. დაახლოებით მოიხაზა მიწის კონტურები, გაჩნდა ცნება კონტინენტი და აფრიკასაც ეწოდა „შავი“. რატომ? მგონი ეს კითხვა უადგილოა. ბუნებამ, ამ ყველაზე ნიჭიერმა ფერმწერმა, მზის ფუნჯით სალებავის დაუნანებლად მოხატა აფრიკელები.

ძალიან ცხელა იმათ სავანა-შამბნარებში!.. მზე სულ თავზე ადგათ, აცხუნებს და აცხუნებს. თოვლი მაგათთან არ მოდის და არაფერი. კილიმანჯაროზე კი ნაღდად არავინ ავა საგუნდაოდ. მღონი, აბორიგენები არც ასულან იქ, სანამ კოლონიზატორები არ მოვიდნენ თავიანთი ახირებული იდეებით. იქ უბრალოდ არაფერი ესაქმებოდათ, ნადირი იქ არ იყო, აფრიკელები კი ის ხალხი არ იყო, ვისაც მწვერვალების დაპყრობის, ახლის აღმოჩენის, ან უბრალოდ უსაქმურობის გამო ზღვის დონიდან 5895 მეტრზე აბობღების აზრი გასჩენოდა თავში. ეს ყველაფერი თეთრებმა შეათვისეს.

როგორი იქნებოდა შავი აფრიკა თეთრი [illegible] გარეშე? ალბათ თითქმის ისეთივე, [illegible] და გამმდე იყო. იქნებ, თავად აფრიკელებისთვისაც უკეთესი იქნებოდა ცხოვრება უევროპელებოდ, იცხოვრებდნენ ბუნებასთან და ცხოველებთან ჰარმონიაში, ან ბრძოლაში, ყოველ შემთხვევაში, ეს მხოლოდ მათ შორის გასარჩევი საქმე იქნებოდა და შუაში არ ჩადგებოდა ცივილიზაცია მონებზე გასაცვლელი მძივების და ქლარუნების დარი საგნეულობებით. ლომებთან მეომარი მასაები სახეს მოიხატავდნენ წყალში გარეული წითელი მიწით და თოფის გარეშეც გალასარევად ინადირებდნენ გარეულ კამეჩებზე.

ევროპელებმა მათ ჩაუტანეს წამალი, მაგრამ დაავადებებიც ხომ ჩაუტანეს? ჩაუტანეს ტრაქტორიც და ჩაუტანეს კალაშნიკოვიც, თანაც ტრაქტორი ბევრ აფრიკულ ქვეყანაში ფუფუნებაა, კალაშნიკოვს კი ბავშვები სათამაშოებივით დაარბენინებენ. მერე რამდენი რამ წამოიღეს იქიდან? ასეთი ადგილების შესახებ თუ გსმენიათ: სპილოს ძვლის ნაპირი, ანაც სუდანის მონათა ბაზარი... ერკვიე ახლა, როგორი აფრიკა უკეთესია: მხოლოდ შავი თუ თეთრ-შავი. ამასწინათ „დისქავერიზე“ აჩვენეს: გორილებისთვის ტყე აღარ დარჩაო. არადა, რამხელაა ეს მიწა... თეთრებიც კი ჩივიან — ნეტა იმ დროს, როცა კენიაში და ტანგანიკაში სპილოები და მარტორქები ლაღად დაშლიგინებდნენო... რაღას იშლიგინებენ, თოფებით ამოხოცეს. ახლა სპილოები ოდნავ იმაზე დიდ შემოღობილში ცხოვრობენ, ვიდრე ადამიანები და მათზე ნადირობის უფლება დიიიდი ხანია აღარ აქვთ აფრიკელებს.

იყვნენ ისეთებიც, რომელთაც არც სპილოს ძვალი სჭირდებოდათ, არც ალმასები და არც ჩალის ფასი მუშახელი, მოგზაური დევიდ ლივინგსტონი, მაგალითად, რომელიც აფრიკას ქვემოდან შეუყვა და ნახევრამდე ფეხით აიარა. ადგილობრივი ხალხი მას დაუდად მოიხსენიებდა. მაგრამ ასეთები ძალიან ცოტანი იყვნენ. ევროპელები — ინგლისელები, ფრანგები, პორტუგალიელები, ჰოლანდიელები, ბელგიელები — ძირითადად აფრიკაში აფრიკის ასათვისებლად და მისათვისებლად ჩადიოდნენ.

მაგრამ არის ერთი ევროპული, ასე ვთქვათ, ნივთი, რამაც აფრიკელებს ზღვა სიხარული მიანიჭა — ბურთი, რომელიც ზანგებმა ასე მარჯვედ აქციეს თავიანთი ნიჭის და „მეს“ გამოსავლენ საშუალებად. ევროპელებს ამაზე კარგი მგონი მართლა არაფერი მიუციათ მათთვის.

დიადი სპორტსმენების გარდა სხვა რა მისცა შავმა აფრიკამ კაცობრიობას? თუნდაც მუსიკა და ერთი წამითაც არ იფიქროთ, რომ ველურების ხის დოლებმა ვიოლინოზე ნაკლები გავლენა მოახდინა ჩვენი დროის მუსიკაზე. ბრაზილიაში, კუბაზე, შტატებში ძალით წასხმული ზანგების სულიდან, გულიდან და ფილტვებიდან მოდის როკენროლი, როკი, ჯაზი, ბლუზი, სამბა და რეპი ხომ თავისთავად.

**ძოტე ყორშია**

# A ჯგუფი



## განა

**მეკარეები**

| | | |
|---|---|---|
| 1 | სემ აჯეი | აშდოდი, ისრაელი |
| 16 | აბდულ ფატავუ დაუდა | აშანტი გოლდი |
| 22 | რიჩარდ კინგსონი | ბირმინგემი, ინგლისი |

**მცველები**

| | | |
|---|---|---|
| 2 | ჰანს შარპეი | ლევერკუზენი, გერმანია |
| 4 | ჯონ პანცილი | ვესტ ჰემი, ინგლისი |
| 5 | ჯონ მენსა | რენი, საფრანგეთი |
| 17 | ნანა აკვასი ასარე | მეხელენი, ბელგია |
| 18 | ერიკ ადო | პსვ, ჰოლანდია |
| 19 | ილიასუ შილა | სატურნი, რუსეთი |
| 21 | ჰარისონ აფული | ასანტე კოტოკო |

**ნახევარმცველები**

| | | |
|---|---|---|
| 6 | ანტონი ანანი | სტარტი, ნორვეგია |
| 7 | ლარიეა კინგსტონი | ჰარტსი, შოტლანდია |
| 8 | მიკაელ ესიენი | ჩელსი, ინგლისი |
| 11 | სულეი ალი მუნტარი | პორტსმუთი, ინგლისი |
| 12 | ანდრე აიევი | მარსელი, საფრანგეთი |
| 14 | ბენარ იაო კუმორძი | პანიონიოსი, საბერძნეთი |
| 15 | აჰმედ ბარუსო | რომა, იტალია |
| 23 | ჰამინუ დრამანი | ლოკომოტივი, რუსეთი |

**თავდამსხმელები**

| | | |
|---|---|---|
| 3 | ასამოა გიანი | უდინეზე, იტალია |
| 9 | ჯუნიორ აგოგო | ნოტინგემი, ინგლისი |
| 10 | კვადვო ასამოა | ლიბერტი პროფესიონალსი |
| 13 | ბაფურ გიანი | სატურნი, რუსეთი |
| 20 | კვინსი ოვუსუ-აბეიე | სელტა, ესპანეთი |

მწვრთნელი: **კლოდ ლე რუა**



## გვინეა

**მეკარეები**

| | | |
|---|---|---|
| 1 | ნაბი დიარსო | სატელიტი |
| 16 | კემოკო კამარა | უგუნდოდ |
| 22 | ნაბი იატარა | სუილეტი |

**მცველები**

| | | |
|---|---|---|
| 3 | იბრაჰიმ კამარა | ლე მანი, საფრანგეთი |
| 5 | ბობო ბალდე | სელტიკი, შოტლანდია |
| 6 | კამილ ზაიატე | იანგ ბოისი, შვეიცარია |
| 12 | ალსენი კამარა | როდეზი |
| 15 | ოუმარ კალაბანე | მანისა, თურქეთი |
| 17 | მამადუ დიალო | სივა, თურქეთი |
| 20 | ჰაბიბ ჟან ბალდე | რეიმსი, საფრანგეთი |
| 21 | დაუდა ჟაბი | ტრაბზონი, თურქეთი |
| 23 | მამადუ ბა | სტრასბური, საფრანგეთი |

**ნახევარმცველები**

| | | |
|---|---|---|
| 2 | პასკალ ფეინდუნო | სენტ ეტიენი, საფრანგეთი |
| 4 | მოჰამედ სისე | ბურსა, თურქეთი |
| 8 | კანფორი სილა | სივა, თურქეთი |
| 13 | მოჰამედ საკო | ეტუალ დუ საჰელი, ტუნისი |
| 14 | ნაბი სუმა | სფაქსენი, ტუნისი |
| 18 | სამუელ ჯონსონი | ისმაილი |

**თავდამსხმელები**

| | | |
|---|---|---|
| 7 | ფოდე მანსარე | ტულუზი, საფრანგეთი |
| 9 | ვიქტორ კორეა | შერბურგი |
| 10 | ისმაელ ბანგურა | დინამო, უკრაინა |
| 11 | სულეიმან იულა | ლილი, საფრანგეთი |
| 19 | კარამოკო სისე | ვერონა, იტალია |

მწვრთნელი: **რობერ ნუზარე**



## მაროკო

**მეკარეები**

| | | |
|---|---|---|
| 1 | ნადირ ლამიაღრი | ვიდად კასაბლანკა |
| 12 | ხალიდ ფუამი | რაჯა კასაბლანკა |
| 22 | აბდელილაჰ ბაგი | მაღრებ ფეზი |

**მცველები**

| | | |
|---|---|---|
| 2 | მიკაელ შრეტიენი | ნანსი, საფრანგეთი |
| 3 | ჰიშამ მაჰდუფი | მეტალისტი, უკრაინა |
| 4 | აბდესლამ უადუ | ვალანსიენი, საფრანგეთი |
| 5 | ტალალ ელ კარკური | სპორტს კლუბი, ქატარი |
| 6 | ამინ ერბატი | დაფრა, სუდანი |
| 14 | აბდესამად შაჰირი | დიფაა ელ ჯადიდა |
| 19 | ჯამალ ალიუი | სიონი, შვეიცარია |

**ნახევარმცველები**

| | | |
|---|---|---|
| 7 | სუფიანე ალუდი | ალ აინი, სუდანი |
| 8 | აბდელქარიმ კისი | ენოსისი, კვიპროსი |
| 10 | ტარიკ სექტიუი | პორტუ, პორტუგალია |
| 13 | ჰუსინე ხარჯა | პიაჩენცა, იტალია |
| 15 | იუსეფ საფრი | საუთჰემპტონი, ინგლისი |
| 18 | აბდერრაჰმან კაბუსი | ცსკა, ბულგარეთი |
| 21 | ბადრ ელ კადური | დინამო, უკრაინა |

**თავდამსხმელები**

| | | |
|---|---|---|
| 9 | ბუშაიბ ელ მუბარქი | გრენობლი, საფრანგეთი |
| 11 | მონსეფ ზერკა | ნანსი, საფრანგეთი |
| 16 | იუსეფ მოხტარი | ალ რაიანი, ქატარი |
| 17 | მარუან შამახი | ბორდო, საფრანგეთი |
| 20 | იუსუფ ჰაჯი | ნანსი, საფრანგეთი |
| 23 | ჰიშამ აბუშერუანი | ესპერანსი, ტუნისი |

მწვრთნელი: **ანრი მიშელი**



## ნამიბია

**მეკარეები**

| | | |
|---|---|---|
| 1 | ატიელ მბაჰა | ორლანდო პაირატსი |
| 16 | აბისაი შინინგაიამვე | ჯომო კოსმოსი, ს. აფრიკა |
| 23 | ეფრაიმ ტიიონგე | ბლექ ლეოპარდსი, ს. აფრიკა |

**მცველები**

| | | |
|---|---|---|
| 13 | მიკაელ პიენაარი | რამბლერსი |
| 6 | ფრანკლინ აპრილი | კივიკსი |
| 18 | გოტლიბ ნაკუტა | ბლუ ვატერსი |
| 5 | რიჩარდ გარისები | ვიტს იუნივ. ს. აფრიკა |
| 3 | ჰარტმან ტორომბა | ბლექ ლეოპარდსი, ს. აფრიკა |
| 2 | ჟერემია ბაისაკო | რამბლერსი |
| 4 | მალეგი ნგარიზემო | კეიპ ტაუნი, ს. აფრიკა |

**ნახევარმცველები**

| | | |
|---|---|---|
| 17 | კვინტონ ჯეკობსი | ბრინი, ნორვეგია |
| 14 | ბრაიან ბრენდელი | კივიქსი |
| 21 | ვიკლიფ კამბონდე | ჯომო კოსმოსი, ს. აფრიკა |
| 10 | აბრაჰამ შატიმუენე | პრიმ. დე აგოსტო, ანგოლა |
| 22 | ჯამუვანდუ ნგატიზეკო | კივიკსი |
| 8 | ოლივერ რისერი | უგუნდოდ |
| 11 | სიდნეი პლაატისი | ჯომო კოსმოსი, ს. აფრიკა |
| 7 | კოლინ ბენჯამინი | ჰამბურგი, გერმანია |

**თავდამსხმელები**

| | | |
|---|---|---|
| 12 | მუნა კატუპოსე | ოშაკატი სიტი |
| 9 | ლევის სვარტბოი | პრიმ. დე აგოსტო, ანგოლა |
| 15 | რუდოლფ ბესტერი | ელევენ ეროუსი |
| 20 | პინას ჯეკობი | რამბლერსი |
| 19 | ლაზარუს კაიმბი | ჯომო კოსმოსი, სამხ. აფრიკა |

მწვრთნელი: **არი შანსი**

# B ჯგუფი



## ბენინი

**მეკარეები**

| | | |
|---|---|---|
| 1 | რაშად შიტუ | ვიკი ტურისტსი |
| 16 | იოან ჯიდონუ | რედ სტარი, საფრანგეთი |
| 22 | ვალერი ამუსუ | მოგასი |

**მცველები**

| | | |
|---|---|---|
| 3 | ხალედ ადენონი | ლე მანი, საფრანგეთი |
| 4 | ბიო აი ტრაორე | ფკ პანტერსი |
| 5 | დამიენ შრისოსტომე | კაზალე, საფრანგეთი |
| 7 | რომულდ ბოკო | აკრინგტონი, ინგლისი |
| 12 | ახილე რუგა | რენი, საფრანგეთი |
| 13 | ნოელ სეკა | ფინი, ნორვეგია |
| 14 | ალენ გასპოზი | ბანე, შვეიცარია |
| 15 | ანისე აჯამოსი | კრეტეი, საფრანგეთი |
| 18 | სეიდათ ჩომოგო | ისტ რიფა, მაროკო |

**ნახევარმცველები**

| | | |
|---|---|---|
| 2 | ჯიმან კუკუ | ფკ სოლუა |
| 6 | იონას ოკეტოლა | ტანდა ზულუ, სამხ. აფრიკა |
| 11 | მური ოგუნბიი | ეტუალ დუ საჰელი, ტუნისი |
| 17 | სტეფან სესენონი | ლე მანი, საფრანგეთი |
| 19 | ჟოსელინ აუეია | სიონი, შვეიცარია |
| 21 | სოსტენე სოგლო | ფკ ენერგიე |

**თავდამსხმელები**

| | | |
|---|---|---|
| 8 | რაზაკ ომოტოიოსი | ჰელსინგბორგი, შვედეთი |
| 9 | აბუ მაიგა | კრეტეი, საფრანგეთი |
| 10 | ოუმარ ჩომგო | პორტიმონენსე, პორტუგალია |
| 20 | ვასიუ ოლადიპიკპო | კაბილიე |
| 23 | აბდულაიე უზერუ | ბუფლესი |

მწვრთნელი: **რაინჰარდ ფაბიში**



## კოტ დივუარი

**მეკარეები**

| | | |
|---|---|---|
| 1 | ბუბაქარ ბარი | ლოკერენი, ბელგია |
| 16 | სტეფან ლობუე | ფიურტი, გერმანია |
| 23 | ტიასე კონე | აფრიკა სპორტსი |

**მცველები**

| | | |
|---|---|---|
| 3 | არტურ ბოკა | შტუტგარტი, გერმანია |
| 4 | კოლო ტურე | არსენალი, ინგლისი |
| 6 | სტივ გოჰური | მიონხენგლადბახი, გერმანია |
| 12 | აბდულაიე მეიტე | ბოლტონი, ინგლისი |
| 20 | კონსტანტ ჯაპკა | პანდურიი, რუმინეთი |
| 21 | ემანუელ ებუე | არსენალი, ინგლისი |
| 22 | მარკ ზორო კპილი | ბენფიკა, პორტუგალია |

**ნახევარმცველები**

| | | |
|---|---|---|
| 5 | დიდიე ზოკორა | ტოტენჰემი, ინგლისი |
| 7 | ემერს ფაე | რედინგი, ინგლისი |
| 10 | კრისტოფერ ჟერვინიო | ლე მანი, საფრანგეთი |
| 13 | კრისტიან კოფი ნდრი | ლე მანი, საფრანგეთი |
| 14 | ბაკარი კონე | ნიცა, საფრანგეთი |
| 17 | სიაკა ტიენე | სენტ ეტიენი, საფრანგეთი |
| 19 | იაია ტურე | ბარსელონა, ესპანეთი |

**თავდამსხმელები**

| | | |
|---|---|---|
| 2 | ბუბაქარ სანოგო | ვერდერი, გერმანია |
| 8 | სალომონ კალუ | ჩელსი, ინგლისი |
| 9 | არუნა კონე | სევილია, ესპანეთი |
| 11 | დიდიე დროგბა | ჩელსი, ინგლისი |
| 15 | არუნა დინდანე | ლანსი, საფრანგეთი |
| 18 | აბდულ კადერ კეიტა | ლიონი, საფრანგეთი |

მწვრთნელი: **ჟერარ ჟილი**



## მალი

**მეკარეები**

| | | |
|---|---|---|
| 1 | მაჰამადუ სიდიბე | იანინა, საბერძნეთი |
| 16 | სუმაილა დიაკიტე | სტად მალიენი |
| 22 | ოუმარ სისოკო | მეცი, საფრანგეთი |

**მცველები**

| | | |
|---|---|---|
| 2 | ბუბაქარ კონე | მაღრებ ფეზი, მაროკო |
| 3 | ადამა ტამბურა | ჰელსინგბორგი, შვედეთი |
| 4 | ადამა კულიბალი | ლანსი, საფრანგეთი |
| 5 | სულეიმან დიამუტენე | ლეჩე, იტალია |
| 9 | ამადუ სიდიბე | ჯოლიბა |
| 15 | სედრიკ კანტე | ნიცა, საფრანგეთი |
| 17 | სამი ტრაორე | ოსერი, საფრანგეთი |
| 23 | მუსა კულიბალი | ალჟერსი, ალჟირი |

**ნახევარმცველები**

| | | |
|---|---|---|
| 6 | მაჰამადუ დიარა | რეალი, ესპანეთი |
| 8 | ბასალა ტურე | ლევადიაკოსი, საბერძნეთი |
| 11 | ჯიბრილ სიდიბე | შატორო, საფრანგეთი |
| 12 | სეიდუ კეიტა | სევილია, ესპანეთი |
| 14 | დრისა დიაკიტე | ნიცა, საფრანგეთი |
| 18 | სულეიმან დემბელე | ჯოლიბა |
| 20 | მოჰამედ სისოკო | ლივერპული, ინგლისი |

**თავდამსხმელები**

| | | |
|---|---|---|
| 7 | მამადუ სიდიბე | სტოკი, ინგლისი |
| 10 | დრამანე ტრაორე | ლოკომოტივი, რუსეთი |
| 13 | მამადუ დიალო | SC ყატარი, ყატარი |
| 19 | ფრედერიკ კანუტე | სევილია, ესპანეთი |
| 21 | მაჰამადუ დისა | რუზელარე, ბელგია |

მწვრთნელი: **ჟან-ფრანსუა ჟოდა**



## ნიგერია

**მეკარეები**

| | | |
|---|---|---|
| 1 | ვინსან ენიეამა | ჰაპოელი, ისრაელი |
| 12 | ოსტინ ეჯიდე | ბასტია, საფრანგეთი |
| 23 | დელე აიენუგბა | ბნეი იეჰუდა, ისრაელი |

**მცველები**

| | | |
|---|---|---|
| 2 | ჟოზეფ იობო | ევერტონი, ინგლისი |
| 3 | ტაიე ტაივო | მარსელი, საფრანგეთი |
| 5 | ობინა ნვანერი | სიონი, შვეიცარია |
| 6 | დანი შიტუ | ბოლტონი, ინგლისი |
| 13 | რაბიუ აფოლაბი | სოშო, საფრანგეთი |
| 19 | იფეანი ემეგარა | სტიაუა, რუმინეთი |
| 22 | ონიეკაჩი აპამი | ნიცა, საფრანგეთი |

**ნახევარმცველები**

| | | |
|---|---|---|
| 7 | ჯონ უტაკა | პორტსმუთი, ინგლისი |
| 10 | ჯონ ობი მიკელი | ჩელსი, ინგლისი |
| 14 | ჯორჯ ოლოფინჯანა | ვულვზი, ინგლისი |
| 15 | უჩე იკეჩუკვუ | ხერესი, ესპანეთი |
| 16 | დიქსონ ეტუჰუ | სანდერლენდი, ინგლისი |
| 18 | ვიქტორ ობინა | კიევო, იტალია |
| 20 | ონიეკაჩი ოკონკვო | ციურიხი, შვეიცარია |
| 21 | რიჩარდ ეროմოიგბე | ლევსკი, ბულგარეთი |

**თავდამსხმელები**

| | | |
|---|---|---|
| 4 | ნვანკვო კანუ | პორტსმუთი, ინგლისი |
| 8 | იაკუბუ აიეგბენი | ევერტონი, ინგლისი |
| 9 | ობაფემი მარტინსი | ნიუკასლი, ინგლისი |
| 11 | პეტერ ოდემვინგი | ლოკომოტივი, რუსეთი |
| 17 | სტეფან მაკინვა | ლაციო, იტალია |

მწვრთნელი: **ბერტი ფოგტსი**

# უქვირფასესი მასპინძელი

**აფრიკის** ერთვნებათა თასის ოთხგზის გამარჯვებული განა ის გუნდია, რომელმაც 2006-ში ტურნირზე ჯგუფიდან ვერ გააღწია. სამაგიეროდ, იმავე წელს პირველად ითამაშა მსოფლიოს ჩემპიონატზე და მერვედფინალში ბრაზილიასთან დამარცხდა. არა მხოლოდ როგორც მასპინძლები, განელები ახლანდელი ტურნირის ფავორიტები იმიტომაც არიან, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოცდილება შეიძინეს, მათ გუნდში კი აფრიკის ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელი, მიკაელ ესიენი თამაშობს. მასპინძლებს ტრავმის გამო კიდევ ერთი ფასეული ნახევარმცველი სტეფან აპია ვერ დაეხმარება, რადგან ექვსი თვით მკურნალობა გამოუწერეს. უნდა ვივარაუდოთ, რომ ნახევარდაცვაში ესიენით და მუნტარით, ხოლო შეტევაში ასამოა გიანით განა ჯგუფიდან გააღწევს და ალბათ ფინალშიც გავა.

მეოთხედფინალში გასვლის კანდიდატია მაროკოც, რაკი გუნდს უგამოცდილესი ანრი მიშელი წვრთნის. მისი თავკაცობით ორი წლის წინანდელ ტურნირზე კოტ დივუარმა ფინალში ითამაშა და მასპინძელ ეგვიპტესთან დამარცხდა. მიშელს გუნდის მთავარი ფეხბურთელები იუსუფ ჰაჯი, მონსეფ ზერკა და მიკაელ შრეტიენი არიან. სამივე „ნანსიში“ თამაშობს, რომელიც სწორედ ამ ბიჭების წყალობით საფრანგეთის ჩემპიონატში მეორე ადგილზეა.

რაც შეეხება გვინეას, ფავორიტად არ მიიჩნევა, მაგრამ ცნობილი ბიჭები მათაც ჰყავთ და ჩამოწერილი გუნდი არაა. სელტიკელ ბობო ბალდეს, სენტეტიენელ პასკალ ფეინდუნოსა და კიევის დინამოელ ისმაელ ბანგურას გამოცდილება და კლასი არ დაეწუნებათ.

ჯგუფის აუტსაიდერად კი ნამიბია ითვლება, რაკი მეორედ გააღწია აფრიკის ერთვნებათა თასზე და ევროპაში თამაშით მხოლოდ ორი ფეხბურთელით დაიკვეხნის: კოლინ ბენჯამინი „ჰამბურგშია“, ხოლო კვინტონ ჯეკობსი — „ბრინში“.

# სპილოების კოზირი

**თუ განელების** ფავორიტობას ზურგს მასპინძლის სტატუსი უმაგრებს, კოტ დივუარის კოზირი საუცხოო ფორვარდი დიდიე დროგბაა. „სპილოებს“ შესარჩევ ტურნირში ული შტილიკე თავკაცობდა, მაგრამ გერმანელს აფრიკის თასის დაწყებამდე ორი კვირით ადრე შვილი გაუხდა ავად და ნაკრები მიატოვა. მისი ადგილი კოტ დივუარის ოლიმპიური გუნდის მწვრთნელმა ჟერარ ჟილმა დაიკავა. „სპილოები“ ორი წლის წინ ფინალში გავიდნენ და მასპინძელ ეგვიპტესთან დამარცხდნენ. ამჟამად უფრო ძლიერები არიან, რადგან მცველებს — კოლო ტურეს, ემანუელ ებუეს, არტურ ბოკას და აბდულაიე მეიტეს მეტი გამოცდილება აქვთ. დროგბაზე ალარაფერს ვიტყვით და ბუბაქარ სანოგო, სალომონ კალუ, არუნა კონე თავ-თავის გუნდების ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელები გახდნენ. ნახევარმცველები არ ჰყავთ ისეთივე მაღალი კლასის, როგორიც მცველები და ფორვარდები, მაგრამ წინსვლა აქაცაა — კოლო ტურეს ძმამ იაია ტურემ „ბარსაში“ ადგილი დაიმკვიდრა. ყველაზე სუსტ წერტილად კოტ დივუარში მეკარე ბუბაქარ ბარი მიიჩნევა.

დროგბასა და კალუს თანაკლუბელი ჯონ ობი მიკელი კი ნიგერიის იმედია. „სუპერარწივების“ მწვრთნელი ბერტი ფოგტსისთვის მიკელი ნახევარდაცვის მთავარი კაცია. ნიგერიელთა დაცვა ისეთივე ძლიერი ვერაა, როგორიც „სპილოებისა“, სამაგიეროდ, ხუთი კარგი ფორვარდით დაიკვეხნის. ხუთივე თავ-თავის კლუბის ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელია და მათგან ამჟამად უკეთეს ფორმაში ევერტონელი იაკუბუ აიეგბენია.

ჯგუფის ფავორიტები კოტ დივუარი და ნიგერია არიან, მაგრამ მალიც არაა ხელწამოსაკრავი, რადგან მათ ფრედერიკ კანუტე, მოჰამედ სისოკო და სეიდუ კეიტა ჰყავთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# C ჯგუფი



## კამერუნი

### მეკარეები

| | | |
|---|---|---|
| 1 | კარლოს კამენი | ესპანიოლი, ესპანეთი |
| 16 | სულეიმანუ ჰამიდუ | დენიზლი, თურქეთი |
| 22 | ჩარლზ მბარგა | ქენონ იაუნდე |

### მცველები

| | | |
|---|---|---|
| 2 | აუგუსტინ ბინია | ბენფიკა, პორტუგალია |
| 3 | ბილ ჩატო | SC ყატარი, ყატარი |
| 4 | რიგობერ სონგი | გალათასარაი, თურქეთი |
| 5 | ტიმოტი ატუბა | ჰამბურგი, გერმანია |
| 6 | ბენუა ანგბვა | კრილია სოვეტოვი, რუსეთი |
| 23 | ანდრე ბიკეი | რედინგი, ინგლისი |

### ნახევარმცველები

| | | |
|---|---|---|
| 7 | მოდესტ მბამი | მარსელი, საფრანგეთი |
| 8 | ჟერემი ნჯიტაპი | ნიუკასლი, ინგლისი |
| 10 | აჩილე ემანა | ტულუზა, საფრანგეთი |
| 11 | ჟან მაკუნი | ლილი, საფრანგეთი |
| 12 | ალენ ნკონგი | ატლანტე, მექსიკა |
| 13 | ლანდრი ნგუემო | ნანსი, საფრანგეთი |
| 14 | ჟოელ ეპალე | ბოხუმი, გერმანია |
| 15 | ალექსანდრ სონგი | არსენალი, ინგლისი |
| 19 | სტეფან მბია | რენი, საფრანგეთი |
| 20 | პოლ ესოლა | არსენალი, უკრაინა |

### თავდამსხმელები

| | | |
|---|---|---|
| 9 | სამუელ ეტოო | ბარსელონა, ესპანეთი |
| 17 | მაჰამადუ იდრისუ | დუისბურგი, გერმანია |
| 18 | ბერტინ ტომუ | მუსკრონი, ბელგია |
| 21 | ჟოზეფ-დეზირე ჟობი | ნიცა, საფრანგეთი |

მწვრთნელი: **ოტო პფისტერი**



## ეგვიპტე

### მეკარეები

| | | |
|---|---|---|
| 1 | ესამ ელ ჰადარი | ალ აჰლი |
| 16 | მოჰამედ აბდელ მონსეფი | ზამალექი |
| 23 | მოჰამედ სობი | ისმაილი |

### მცველები

| | | |
|---|---|---|
| 2 | მაჰმუდ ფათალაჰი | ზამალექი |
| 4 | იბრაჰიმ საიდი | ანკარაგიუჯიუ, თურქეთი |
| 5 | შადი მოჰამედი | ალ აჰლი |
| 6 | ჰანი საიდი | ისმაილი |
| 7 | აჰმედ ფატი | ალ აჰლი |
| 13 | ტარეკ ელ საიედი | ზამალექი |
| 14 | საიედ მოავადი | ისმაილი |
| 20 | ვაელ გომაა | ალ სილია |

### ნახევარმცველები

| | | |
|---|---|---|
| 3 | აჰმედ ელ მოჰამადი | ენპი |
| 8 | ჰოსნი აბდ რაბუ | ისმაილი |
| 11 | მოჰამედ შავკი | მიდლსბრო, ინგლისი |
| 12 | ომარ გამალი | ისმაილი |
| 15 | აჰმედ შაბანი | პეტროჯეტი |
| 17 | აჰმედ ჰასანი | ანდერლეხტი, ბელგია |
| 21 | ჰასან მოსტაფა | ალ ვაჰდა |
| 22 | მოჰამედ აბუტრიკა | ალ აჰლი |

### თავდამსხმელები

| | | |
|---|---|---|
| 9 | მოჰამედ ზიდანი | ჰამბურგი, გერმანია |
| 10 | ემად მოტაები | ალ აჰლი |
| 18 | მოჰამედ ფადლი | ზამალექი |
| 19 | ამრ ზაკი | ზამალექი |

მწვრთნელი: **ჰასან შეჰატა**



## სუდანი

### მეკარეები

| | | |
|---|---|---|
| 21 | ბაჰაელდინ აბდალა | ალ მერიხი |
| 1 | აკრამ ელ ჰადი | ალ მერიხი |
| 16 | მაჰგუბ ელ მოეზი | ალ ჰილალი |

### მცველები

| | | |
|---|---|---|
| 4 | მოჰამედ ელ ხიდერი | ალ ჰილალი |
| 19 | აჰმედ ალ ბაშა | ალ მერიხი |
| 3 | მუსა ალ ტაიები | ალ მერიხი |
| 2 | ომერ ბახიტი | ალ ჰილალი |
| 15 | ამირ დამერი | ალ მერიხი |
| 7 | ალაელდინ ჯიბრილი | ალ ჰილალი |
| 18 | ხალიდ ჰასან ალი | ალ ჰილალი |

### ნახევარმცველები

| | | |
|---|---|---|
| 5 | იუსეფ ალაელდინი | ალ ჰილალი |
| 9 | ჰამუდა ბაშირი | ალ ჰილალი |
| 12 | ბადრუდინ ელ დოუდი | ალ მერიხი |
| 22 | საიფელდინ ალი იდრისი | ალ ჰილალი |
| 23 | ჰასან კორონგო | ალ ჰილალი |
| 6 | რიჩარდ ლადო | ალ ჰილალი |
| 14 | მუგაჰიდ მოჰამედი | ალ მერიხი |
| 8 | ჰაიტამ მუსტაფა | ალ ჰილალი |
| 13 | მოჰამედ ტაჰირი | ალ ჰილალი |

### თავდამსხმელები

| | | |
|---|---|---|
| 20 | აბდელამიდ ამარი | ალ მერიხი |
| 17 | ფაიზალ აგაბი | ალ მერიხი |
| 11 | ალაელდინ ბაბიკერი | ალ მერიხი |
| 10 | ჰაიტამ ტამბალი | ალ მერიხი |

მწვრთნელი: **მოჰამედ აბდალაჰი**



## ზამბია

### მეკარეები

| | | |
|---|---|---|
| 16 | კენედი მვეენე | სტეიტ სტარსი |
| 22 | კალილო კაკონჯე | ამაზულუ |
| 1 | მიკე პოტო | გრინ ბაფალოსი |

### მცველები

| | | |
|---|---|---|
| 18 | ბილი მვანზა | გოლდენ ეროუსი |
| 4 | ჯოზეფ მუსონდა | გოლდენ ეროუსი |
| 19 | კლაივ ჰაშილენსა | ზესკო იუნაიტედი |
| 13 | ვილი შინიამა | ზესკო იუნაიტედი |
| 3 | კენედი ნკეტანი | ზანაკო |
| 5 | ჰიშანი ჰიმონდე | ლუსაკა დინამოსი |
| 15 | კამპამბა შინტუ | სტეიტ სტარტსი |

### ნახევარმცველები

| | | |
|---|---|---|
| 17 | რაინფორდ კალაბა | ზესკო იუნაიტედი |
| 8 | ისააკ შანსა | ჰელსინგბორგი, შვედეთი |
| 7 | კლიფორდ მულენგა | მაკაბი, ისრაელი |
| 23 | უილიამ ნჯოვუ | ლუსაკა დინამოსი |
| 10 | იან ბაკალა | პრიმეირო დე აგოსტო, ანგოლა |
| 6 | ფრანსის კასონდე | პაუერ დინამოსი |
| 20 | ფელიქს კატონგო | პრიმ. დე აგოსტო, ანგოლა |

### თავდამსხმელები

| | | |
|---|---|---|
| 11 | კრის კატონგო | ბრონდბიუ, დანია |
| 2 | ჯეკობ მულენგა | სტრასბური, საფრანგეთი |
| 14 | ემანუელ მაიუკა | კაბვე უორიორსი |
| 12 | ლუბე ფირი | პრიმეირო დე აგოსტო, ანგოლა |
| 21 | ჯეიმს შამანგა | მოროკა სველოუსი |
| 9 | ფელიქს სუნზუ | კონკოლა ბლედესი |

მწვრთნელი: **პატრიკ ფირი**

# ზიდანი აქ არის

**ეგვიპტემ** ორი წლის წინ შინ მოიგო აფრიკის თასი და ჯილდო მეხუთედ დაისაკუთრა. ამჯერად გულშემატკივრების ისეთივე ქომაგობის იმედი აღარ უნდა ჰქონდეს, როგორც 2006-ში, თან მწვრთნელის ჰასან შეჰატას თქმით, გუნდი გადახალისების პროცესშია და მთავარი მიზანი მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევისთვის მზადებაა. „ფარაონებს" წლეულს ტრავმის გამო არ ეყოლებათ ერთ-ერთი საუკეთესო ნახევარმცველი მოჰამედ ბარაქათი და ფორვარდი აჰმედ ჰოსამ მიდო. კვლავ ითამაშებს კაპიტანი აჰმედ ჰასანი, რომელსაც ნაკრებში 130 მატჩი ჩაუტარებია. ეგვიპტელთა მთავარი ფეხბურთელები კი ნახევარმცველი მოჰამედ აბუტრიკა და „ჰამბურგის" ფორვარდი მოჰამედ ზიდანი არიან.

კამერუნელ „ლომებს" სამუელ ეტოოს თამადობით ალბათ არ უნდა გაუჭირდეთ ჯგუფიდან გასვლა. შეტევაში ეტოოს მეწყვილე ან დუისბურგელი მოჰამადუ იდრისე იქნება, ან უფრო გამოცდილი ჟოზეფ-დეზირე ჟობი „ნიცადან". ნახევარდაცვაში ბევრი სახელიანი ფეხბურელი არ ჰყავთ, მაგრამ ჟერემი ნჯიტაპის და ალექსანდრ სონგს დონე არ დაეწუნებათ. კამერუნელთა მეკარე კარლოს კამენი ამჟამად აფრიკაში ალბათ საუკეთესოა, რადგან მისი დამსახურებაცაა, რომ „ესპანიოლი" პრიმერადივიზიონში მეოთხე ადგილზეა.

რაც შეეხება სუდანს, ბოლოს აფრიკის თასზე 32 წლის წინ იყო, ხოლო ზამბია 1996-ის შემდეგ მეოთხედფინალში არ გასულა. ამ ფაქტებით თუ ვიმსჯელებთ, ეს გუნდები ჯგუფიდან ალბათ ამჯერადაც ვერ გაალწევენ.

# D ჯგუფი



## ანგოლა

### მეკარეები

| | | |
|---|---|---|
| 1 | ლამა | პეტრო ატლეტიკო |
| 12 | ნუნო | ავიაკაო |
| 22 | მარიო | ინტერკლუბი |

### მცველები

| | | |
|---|---|---|
| 2 | მარკო აიროსა | ფატიმა, პორტუგალია |
| 3 | ჟამბა | ავიაკაო |
| 4 | მაჩადუ | ანადია, პორტუგალია |
| 5 | კალი | სიონი, შვეიცარია |
| 6 | იამბა აშა | პეტრო ატლეტიკო |
| 15 | რუი მარკეში | ლიდსი, ინგლისი |
| 20 | ლოკო | პრიმეირო აგოსტო |
| 21 | ლუის დელგადო | მეცი, საფრანგეთი |

### ნახევარმცველები

| | | |
|---|---|---|
| 7 | ფიგეირედო | იოსტერსი, შვედეთი |
| 8 | ანდრე მაკანგა | ალ ქუვეითი, ქუვეითი |
| 11 | ჟილბერტო | ალ აჰლი, ეგვიპტე |
| 13 | ედსონი | ფერეირა, პორტუგალია |
| 14 | მენდონკა | ბელენენსეში, პორტუგალია |
| 17 | ზე კალანგა | ბოავიშტა, პორტუგალია |
| 19 | დედე | ფერეირა, პორტუგალია |

### თავდამსხმელები

| | | |
|---|---|---|
| 9 | მანტეუში | ბოავიშტა, პორტუგალია |
| 10 | მაურიტო | ალ ქუვეითი, ქუვეითი |
| 18 | ლოვე | პრიმეირო აგოსტო |
| 23 | მანუშო გონსალვეში | მანჩესტერი, ინგლისი |

მწვრთნელი: **ლუიშ ოლივეირა გონსალვეში**



## სენეგალი

### მეკარეები

| | | |
|---|---|---|
| 1 | ტონი სილვა | ლილი, საფრანგეთი |
| 16 | შეიკ ნდიაიე | კრეტეი, საფრანგეთი |
| 23 | ბუნა კუნდული | კოლორადო, აშშ |

### მცველები

| | | |
|---|---|---|
| 2 | იბრაჰიმ სონკო | რედინგი, ინგლისი |
| 3 | გუირანე ნდოუ | სოშო, საფრანგეთი |
| 4 | მოჰამედ სარი | სტანდარდი, ბელგია |
| 5 | სულეიმან დიავარა | ბორდო, საფრანგეთი |
| 6 | იბრაჰიმ ფაიე | ტრუა, საფრანგეთი |
| 13 | ლამინე დიატა | ბეშიქთაში, თურქეთი |
| 20 | აბდულაიე ფაიე | ნიუკასლი, ინგლისი |
| 21 | ჰაბიბ ბეიე | ნიუკასლი, ინგლისი |

### ნახევარმცველები

| | | |
|---|---|---|
| 9 | ბაბაქარ გუეიე | მეცი, საფრანგეთი |
| 10 | უსმან ნდოიე | აკადემიკა, პორტუგალია |
| 12 | მუსტაფა ბაიალ სალი | სენტ-ეტიენი, საფრანგეთი |
| 14 | პაპა ვაიგო | ჯენოა, იტალია |
| 15 | დიომანსი კამარა | ფულჰემი, ინგლისი |
| 18 | ფრედერიკ მენდი | ბასტია, საფრანგეთი |
| 19 | პაპე ბუბა დიოპი | პორტსმუთი, ინგლისი |
| 22 | პაპა მალიკ ბა | ბაზელი, შვეიცარია |

### თავდამსხმელები

| | | |
|---|---|---|
| 7 | ანრი კამარა | ვესტ ჰემი, ინგლისი |
| 8 | მამადუ ნიანგი | მარსელი, საფრანგეთი |
| 11 | ელ ჰაჯი დიუფი | ბოლტონი, ინგლისი |
| 17 | მოდუ სუგუ | ლეირია, პორტუგალია |

მწვრთნელი: **ჰენრი კასპერჩაკი**



## სამხრეთ აფრიკა

### მეკარეები

| | | |
|---|---|---|
| 1 | როუენ ფერნანდესი | არმინია, გერმანია |
| 16 | მოენებ ჯოზეფსი | ბიდვესტ ვიტსი |
| 23 | იტუმელენგ ხუნე | კაიზერ ჩიფსი |

### მცველები

| | | |
|---|---|---|
| 20 | ბრეტ ევანსი | აიაქს კეიპ ტაუნი |
| 2 | ბევან ფრანსმანი | მოროკა სველოუსი |
| 3 | ცეპო მასილელა | მაკაბი, ისრაელი |
| 7 | ტუმელო ნლაპო | ბლუმფონტენი |
| 13 | ბენსონ მლონგო | მამელოდი სანდაუნსი |
| 4 | აარონ მოკოენა | ბლექბერნი, ინგლისი |
| 19 | ბრის მოონი | აიაქს კეიპ ტაუნი |
| 5 | ნასიფ მორისი | პანათინაიკოსი, საბერძნეთი |

### ნახევარმცველები

| | | |
|---|---|---|
| 6 | ლანსე დევიდსი | იურგორდენი, შვედეთი |
| 22 | კაგისო დიკგასოი | გოლდენ ეროუსი |
| 12 | ტეკო მოდისე | ორლანდო პაირატსი |
| 9 | სიურპრიზ მორირი | მამელოდი სანდაუნსი |
| 10 | სტივენ პიენაარი | ევერტონი, ინგლისი |
| 8 | სიპივე შაბალალა | კაიზერ ჩიფსი |
| 11 | ელრიო ვან ჰეერდენი | ბრიუგე, ბელგია |

### თავდამსხმელები

| | | |
|---|---|---|
| 14 | ლერატო შაბანგუ | მამელოდი სანდაუნსი |
| 21 | თემბინკოსი ფანტენი | მაკაბი, ისრაელი |
| 17 | კატლეგო მპელა | სუპერსპორტ იუნაიტედი |
| 18 | ექსელენტ ვალაზა | ორლანდო პაირატსი |
| 15 | სიბუსისო ზუმა | არმინია, გერმანია |

მწვრთნელი: **კარლოს ალბერტო პარეირა**



## ტუნისი

### მეკარეები

| | | |
|---|---|---|
| 22 | ადელ ნეფზი | კლუბ აფრიკენი |
| 1 | ჰამდი კასრაუი | ესპერანსი |
| 16 | აიმენ მათლუტი | ეტუალ დუ საჰელი |

### მცველები

| | | |
|---|---|---|
| 4 | ვისამ ელ აბდი | ზამალექი, ეგვიპტე |
| 6 | რადუენე ფელჰი | ეტუალ დუ საჰელი |
| 19 | მეჰდი მერიაჰი | ეტუალ დუ საჰელი |
| 13 | საბერ ბენ ფრეჯი | ეტუალ დუ საჰელი |
| 2 | საიფ ღეზალი | ეტუალ დუ საჰელი |
| 5 | ვისამ ელ ბექრი | ესპერანსი |
| 3 | ქარიმ ჰაგი | ლევერკუზენი, გერმანია |
| 15 | რადჰი ჟაიდი | ბირმინგემი, ინგლისი |
| 18 | იასინ მიკარი | გრასჰოპერი, შვეიცარია |

### ნახევარმცველები

| | | |
|---|---|---|
| 7 | შაუკი ბენ საადა | ბასტია, საფრანგეთი |
| 14 | შაკერ ზუაგი | ლოკომოტივი, რუსეთი |
| 21 | მეჯიდი ტრაუი | ეტუალ დუ საჰელი |
| 12 | ჟაუარ მნარი | ნიურნბერგი, გერმანია |
| 10 | კამელ ზაიემი | ესპერანსი |
| 8 | მეჰდი ნაფტი | ბირმინგემი, ინგლისი |

### თავდამსხმელები

| | | |
|---|---|---|
| 20 | მეჰდი ბენ დრიფალაჰი | ეტუალ დუ საჰელი |
| 23 | მოჰამედ შერმითი | ეტუალ დუ საჰელი |
| 9 | იასიმ შიხაუი | ციურიხი, შვეიცარია |
| 11 | ფრანსილეუდუ სანტუში | ტულუზა, საფრანგეთი |
| 17 | ისამ ჟომაა | კანი, საფრანგეთი |

მწვრთნელი: **როჟე ლემერი**

# ჩემპიონების აფრიკული შეხვედრა

**მსოფლიოს** და ევროპის ჩემპიონი მწვრთნელები, კარლოს ალბერტო პარეირა და როჟე ლემერი ჯგუფში ერთად მოხვდნენ. ეს ალბათ სხვებთან შედარებით ყველაზე თანაბარძალოვანი ჯგუფია და უფრო დაძაბული მატჩებიც გაიმართება.

1990 წლის შემდეგ ტუნისი მუდამ გადიოდა მეოთხედფინალში, ორჯერ კი ფინალშიც გააღწია. ამჟამად გუნდში აღარ არიან ჰატემ ტრაბელსი და ბუაზიზი, რადგან ლემერმა მათზე უარი თქვა, ხოლო ალი ზიტუნი და ჰამედ ნამუში ტრავმის გამო დააკლდებათ. „ბირმინგემის" მცველმა რადჰი ჟაიდიმ 2006-ში სანაკრებო კარიერა დაასრულა, მაგრამ გადაიფიქრა და დაბრუნდა. გუნდის მთავარი ფეხბურთელები ნიურბერგელი ჟაუარ მნარი, ეტუალელი მოჰამედ შერმითი და ტულუზელი ფრანსილეუდუ დუშ სანტუში არიან.

პარეირამ სამხრეთ აფრიკის ნაკრები შარშანწინ ჩაიბარა და „ბაფანა ბაფანა" მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატისთვის ღირსეულად უნდა მოამზადოს. ბრაზილიელმა ბენი მაკარტი, დელრონ ბაკლი და მაკბეტ სიბაია დაითხოვა გუნდიდან, რითაც ბევრი გააკვირვა, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონს ვინ რას შეჰბედავდა. სამაგიეროდ, სტივენ პიენაარს და სიბუსისო ზუმას ენდო, სულ კი ნაკრებში 23 ფეხბურთელიდან ცხრა ლეგიონერია.

სენეგალი ის აღარაა, რაც 2002-ში იყო, მაგრამ თითქმის მთლიანად ევროპელი ლეგიონერებითაა წარმოდგენილი. ხოლო ანგოლა, რომელიც მსოფლიოს წინა ჩემპიონატის მონაწილეა, მეორედ გავიდა აფრიკის თასზე და 2006-ის გერმანული გამოცდილებაც უმაგრებს ზურგს.

# აპიამ განას უღალატა



განელთა ფრანგ მწვრთნელ კლოდ ლე რუას ტურნირის დაწყებამდე „დეტალი" დაეკარგა. გუნდის ერთ-ერთი მთავარი ფეხბურთელი სტეფან აპია დაშავდა და მასპინძელთა თავკაცს გეგმები ცოტა აურია, მაგრამ მაინც იმედიანადაა. განა ხვალ პირველ მატჩში გვინეას შეხვდება, ლე რუამ ფიფას ვებგვერდისთვის ინტერვიუში ნაკრების ავანჩავანზე ისაუბრა

**— პირველი მატჩის წინ ალბათ ძალიან ნერვიულობთ...**

— რა თქმა უნდა, რადგან მასპინძელთა მწვრთნელი ვარ და ჩვენგან მთელი ქვეყანა მოგებას ელის. ვცდილობ, დავმშვიდდე და ფეხბურთელებიც დავაწყნარო. 1982 წლის მერე აფრიკის ერთვნებათა თასი არ მოგვიგია. მართალია, საკმაოდ ძლიერ ჯგუფში მოვხვდით, მაგრამ ზოგადად გუნდში განწყობა კარგია. ერთი ეგაა, რომ სტეფან აპიას ტრავმამ ხასიათი ცოტა წამიხდინა.

**— ამ ამბავმა ფეხბურთელებზე როგორ იმოქმედა?**

— არ უტირიათ, მაგრამ ყველამ ვიცით, რომ აპია ჩემი ტაქტიკის ლამის მთავარი „დეტალია". ბევრი რამ მასზე იყო აწყობილ-დამოკიდებული. უნდა შევეგუოთ და უფრო მონდომებულად ვითამაშოთ. აპია ჩამოვიდა და ჩვენთან ერთად იქნება.

**— გუნდში მისი ყოფნა, თუნდაც ტრავმირებულის, ალბათ მაინც მნიშვნელოვანია...**

— ცხადია, მისი მხარდაჭერა წაგვადგება. ის ლიდერია და მწვრთნელისთვის ისიც სასიამოვნოა, როცა ასეთი ფეხბურთელი გვერდში გიდგას.

**— რამდენ ხანს დარჩება გუნდში?**

— ვიმედოვნებთ, რომ 11 თებერვლამდე, ანუ ტურნირის ბოლომდე — ჩვენ ხომ ფინალში გასვლას და გამარჯვებას ვგეგმავთ.

**— გვინეას როგორ შეაფასებთ?**

— მათ დიდი პოტენციალი აქვთ, რადგან ბევრი ნიჭიერი ფეხბურთელი ჰყავთ და მძიმე ბრძოლას ველი. თუ ამ მატჩის შემდეგ სამი ქულა გვექნება, მომდევნოსთვის უფრო ლაღად და თავდაჯერებით მოვემზადებით, რადგან დასაწყისშივე მოგება ფეხბურთელებს დაძაბულობას მოუხსნის.



## მრგვალი ვავა აბა

აფრიკის ეროვნებათა თასზე „ადიდასის" მიერ შექმნილი ბურთით ითამაშებენ, რომელსაც „ვავა აბა" დაარქვეს. სიტყვათა ეს შეთანხმება გამარჯვებას, მიზანსწრაფულობას და გამძლეობას ნიშნავს.




## აფრიკული სამაია

**აფრიკის** ფეხბურთის კონფედერაციამ ის სამი ფეხბურთელი დაასახელა, რომელთაგანაც კონტინენტის 2007 წლის საუკეთესოს გამოავლენს. ტრიო ასეთია: „ჩელსის" კოტდივუარელი დიდიე დროგბა, მისი განელი თანაკლუბელი მიკაელ ესიენი და „სევილიას" მალელი ფრედერიკ კანუტე. გამოკითხვაში აფრიკის 53 ქვეყნის ნაკრებთა მწვრთნელი მონაწილეობდა და საშუალედო შედეგები ხუთშაბათს ლომეში (ტოგო) საგანგებო პრესკონფერენციაზე გამოაქვეყნეს. 2006-ში ჯილდოს მფლობელი დიდიე დროგბა გახდა, ფრედერიკ კანუტე კი სამეულში პირველად მოხვდა. საუკეთესოს 1 თებერვალს ლომეში დაასახელებენ.

## აფრიკის ეროვნებათა თასის ყველა ფინალი

| | | |
|---|---|---|
| 1957 | სუდანი | ეგვიპტე 4:0 ეთიოპია |
| 1959 | ეგვიპტე | ეგვიპტე 2:1 სუდანი |
| 1962 | ეთიოპია | ეთიოპია 4:2დ.დ. ეგვიპტე |
| 1963 | განა | განა 3:0 სუდანი |
| 1965 | ტუნისი | განა 3:2დ.დ. ტუნისი |
| 1968 | ეთიოპია | კონგოს დ.რ. 1:0 განა |
| 1970 | ტუნისი | სუდანი 1:0 განა |
| 1972 | კამერუნი | კონგო 3:2 მალი |
| 1974 | ეგვიპტე | ზაირი 2:2დ.დ. ზამბია |
| | | გადათამაშება ზაირი 2:0 ზამბია |
| 1976 | ეთიოპია | მაროკო (ჯგუფის გამარჯვებული) |
| 1978 | განა | განა 2:0 უგანდა |
| 1980 | ნიგერია | ნიგერია 3:0 ალჟირი |
| 1982 | ლიბია | განა 1:1დ.დ.(7:6პ) ლიბია |
| 1984 | კოტ დივუარი | კამერუნი 3:1 ნიგერია |
| 1986 | ეგვიპტე | ეგვიპტე 0:0დ.დ.(5:4პ) კამერუნი |
| 1988 | მაროკო | კამერუნი 1:0 ნიგერია |
| 1990 | ალჟირი | ალჟირი 1:0 ნიგერია |
| 1992 | სენეგალი | კოტ დივუარი 0:0დ.დ.(11:10პ) განა |
| 1994 | ტუნისი | ნიგერია 2:1 ზამბია |
| 1996 | ს. აფრიკა | ს. აფრიკა 2:0 ტუნისი |
| 1998 | ბურკინა ფასო | ეგვიპტე 2:0 ს. აფრიკა |
| 2000 | განა, ნიგერია | კამერუნი 2:2დ.დ.(4:3პ) ნიგერია |
| 2002 | მალი | კამერუნი 0:0დ.დ.(3:2პ) სენეგალი |
| 2004 | ტუნისი | ტუნისი 2:1 მაროკო |
| 2006 | ეგვიპტე | ეგვიპტე 0:0დ.დ.(4:2პ) კოტ დივუარი |

## აფრიკის თასის ლაურეატები

| ქვეყანა | ჩ | ფ | ნ |
|---|---|---|---|
| ეგვიპტე | 5 | 6 | 12 |
| განა | 4 | 7 | 8 |
| კამერუნი | 4 | 5 | 7 |
| ნიგერია | 2 | 6 | 12 |
| კონგოს დრ | 2 | 2 | 4 |
| ტუნისი | 1 | 3 | 6 |
| სუდანი | 1 | 3 | 4 |
| კოტ დივუარი | 1 | 2 | 7 |
| ალჟირი | 1 | 2 | 5 |
| ეთიოპია | 1 | 2 | 5 |
| მაროკო | 1 | 2 | 5 |
| ს. აფრიკა | 1 | 2 | 3 |
| კონგო | 1 | 1 | 2 |
| ზამბია | 0 | 2 | 5 |
| მალი | 0 | 1 | 4 |
| სენეგალი | 0 | 1 | 4 |
| უგანდა | 0 | 1 | 2 |
| გვინეა | 0 | 1 | 1 |
| ლიბია | 0 | 1 | 1 |
| ბურკინა ფასო | 0 | 0 | 1 |

*შენიშვნა: ჩ — ჩემპიონი; ფ — ფინალისტი; ნ — ნახევარფინალისტი.*

## რიგანო სიენასთვის გაიტანს

**„სიენამ"** ოფიციალურად დაადასტურა, რომ „ლევანტემ" კრისტიან რიგანო სეზონის ბოლომდე ითხოვა, ხოლო [illegible] „რეჯინაში" გაუშვა. „ფიორენტინას" და „მესინას" ყოფილი ფორვარდი, 33 წლის რიგანო „ლევანტეში" შარშან ზაფხულს გადავიდა. 13 მატჩში მან ოთხი გოლი გაიტანა. ესპანურ კლუბთან რიგანოს კონტრაქტი 2009 წლის ივლისამდე აქვს და სეზონის ბოლოს გუნდს უნდა დაუბრუნდეს.

## კიელინის ერთთვიანი მუხლი

**„იუვენტუსის"** მცველი ჯორჯო კიელინი მუხლის ტრავმის გამო ერთი თვე ველარ ითამაშებს. ფეხბურთელი სამშაბათს „ემპოლისთან" სათასო მატჩში დაშავდა, რომელიც ტურინელებმა 5:3 მოიგეს. გუშინდელმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ კიელინის მუხლის მყესები აქვს დაზიანებული. ამასობაში „იუვემ" თავისი ურუგვაელი ნახევარმცველი რუბენ ოლივერა სეზონის ბოლომდე მის მშობლიურ „პენიაროლს" ათხოვა.

## ჯენოა წარმოგიდგენთ

**„ჯენოამ"** „კორინთიანსიდან" ბრაზილიელი ფორვარდი უილსონი იყიდა. 22 წლის თავდამსხმელმა სამედიცინო შემოწმება გუშინ გაიარა და მედიასაც წარუდგინეს. უილსონი შარშან ბრაზილიის მეორე დივიზიონის „პაულისტაში" იყო განათხოვრებული, „კორინთიანსში" კი ძირითად შემადგენლობაში 12-ჯერ უთამაშია. გარდა ამისა, „ჯენოამ" „იუვენტუსიდან" მცველი დომენიკო კრიშიტო ითხოვა.

## პოდოლსკი კლინსმანმა მოითხოვა

**„ბაიერნის"** შეფმა კარლ-ჰაინც რუმენიგემ განაცხადა, რომ ლუკაშ პოდოლსკის გაყიდვას არ აპირებს. 22 წლის ფორვარდის შეძენა „მანჩესტერ სიტის" სურდა და სიცილიელთა მწვრთნელი ფეხბურთელის აგენტსაც ესაუბრა. „ნორმალურია, რომ პოდოლსკის თაობაზე რამდენიმე შემოთავაზება მივიღეთ, რადგან საუბარია გერმანიის ნაკრების ფორვარდზე. მიუხედავად ამისა, გაშვებას არ ვაპირებთ. იურგენ კლინსმანმა მისი დატოვება მოითხოვა". შეგახსენებთ, რომ კლინსმანი 1 ივლისიდან „ბაიერნის" მწვრთნელი გახდება.

## უძილო ბრაზილიაში გამოიძინებს

**ბრემენის** „ვერდერი" ბრაზილიელ ნახევარმცველ კარლოს ალბერტოს ექვსი თვით „სან პაულუს" დაუთმობს. ფეხბურთელი მუსიკოსებმა „სან პაულუდან" შარშან 8 მილიონ ევროდ იყიდეს, მაგრამ ალბერტოს ხან უძილობა სჭირდა, ხან ტრავმებმა გააწამა და ამ სეზონში მხოლოდ სამჯერ ითამაშა. „ვერდერის" გენერალურმა მენეჯერმა კლაუს ალოფსმა განაცხადა, რომ ბრაზილიელს სამშობლოში მეტი სათამაშო პრაქტიკა ექნება და ზაფხულში კვლავ დაიბრუნებენ.

## ფრედი არ მიდის

**„ლიონის"** ბრაზილიელმა ფორვარდმა ფრედმა განაცხადა, რომ კლუბიდან წასვლას არ აპირებს. 24 წლის ბრაზილიელს „მიდლსბრო", პსჟ და „ტოტენჰემი" ეპატიჟებოდნენ, მაგრამ საფრანგეთის ექვსგზის ჩემპიონს ვერ შეელია, სამივეს უარი უთხრა. „ვიმედოვნებ, რომ ძირითად შემადგენლობაში ადგილს დავიბრუნებ და კვლავაც გუნდის მთავარი ფეხბურთელი გავხდები — თქვა ფრედმა — შემოთავაზება ბევრი იყო, მაგრამ „ლიონზე" უკეთესი ვერ ვნახე".

## ლაურსენი უყვართ

**დანიელმა** მცველმა მარტინ ლაურენსმა ბირმინგემის „ასტონ ვილასთან" კონტრაქტი 2010 წლამდე გააახანგრძლივა. 30 წლის ფეხბურთელმა სეზონის დასაწყისიდან საუცხოოდ თამაშობს და მწვრთნელმა მარტინ ონილმა მის შესახებ თქვა: „ლაურსენი ფანების ფავორიტი გახდა და როგორც ქომაგები, ისევე ჩვენ, გახარებულები ვართ მისი ახალი ხელშეკრულებით.

## დანით სიკვდილი

**„ოლიმპიაკოსისა"** და „პანათინაიკოსის" სათასო მატჩის შემდეგ, რომელიც მასპინძლებმა 4:0 მოიგეს, ფანებს შორის ჩხუბი გაიმართა. შეხლის შედეგად „ოლიმპიაკოსის" ორი ფანი, 25 და 27 წლისა, ჩხუბში დაჭრეს, რაც ტრაგედიით დასრულდა — ერთ-ერთი მათგანი გარდაიცვალა. პოლიციამ „პანათინაიკოსის" რამდენიმე ეჭვმიტანილი ქომაგი დააკავა და საქმის გამოძიებას შეუდგა.

## რა კაკა, რის კაკა!

**მადრიდის** „რეალის" პრეზიდენტმა რამონ კალდერონმა განაცხადა, რომ „მილანიდან" კაკას შეძენა აღარ აინტერესებს. „ამ გუნდში კაკას ადგილი აღარაა — თქვა პრეზიდენტმა — იმიტომ კი არა, რომ კაკა ცუდი ფეხბურთელია, არამედ იმიტომ, რომ გუნდში უკვე დიდებული ვითარებაა და ნებისმიერი ცვლილება ავნებს".

## მარტი ივნისამდეა

**სეგუნდადივიზიონის** „სოსიედადმა" „სევილიადან" ნახევარმცველი ხოსე ლუის მარტი სეზონის ბოლომდე ითხოვა. სან სებასტიანის კლუბს ფეხბურთელის შემდგომი გამოსყიდვის უფლება ექნება. შეგახსენებთ, რომ „სოსიედადის" უელსელი მწვრთნელი კრის კოულმენი ორი დღის წინ გადადგა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ლივერპულის ამბები

**ადრეც** გვიხსენებია Dubai International Capital და, ვფიქრობთ, „სარბიელის“ მკითხველს ეს კორპორაცია ახსოვს — 2004 წელს დაფუძნებული უმდიდრესი ორგანიზაციის მთავარი ფიგურა შეიხი მუჰამედ ბინ რაშიდ ალ მახთუმი გახლავთ, არაბთა გაერთიანებული საამიროების პრემიერ მინისტრი და ვიცე პრეზიდენტი, დუბაის მმართველი. ჰოდა, როგორც ირკვევა, ეს ფრიად გავლენიანი კორპორაცია ძველ აზრზე დგას, გულიდან „ლივერპულის“ ყიდვა კვლავაც არ ამოუგდია. სხვა საქმეა, რომ მერსისაიდული კლუბის თანამეპატრონე, ამერიკელი ტომ ჰიკსი კატეგორიულად აცხადებს, „ლივერპული“ არ იყიდებაო.

შეგახსენებთ, რომ Dubai International Capital-ი ამ პრემიერლიგური კლუბის ყიდვას შარშანაც აპირებდა, მაგრამ მაშინ რაღაც მიზეზების გამო, ხელი შეეშალა და „ენფილდ როუდის“ ბინადარი ამერიკელებმა, ზემოხსენებულმა ჰიკსმა და მისმა პარტნიორმა ჯორჯ ჯილეტმა იყიდეს.






თუმცა, არაბები მაინც არ ცხრებიან და მერსისაიდელთა ოკეანისგაღმელ პატრონებს 150 მილიონ გირვანქას სთავაზობენ.

და რას ამბობენ ყოველივე ამაზე ინგლისელი ჟურნალისტები? ნუთუ ასეთი მასშტაბის არაბული კორპორაცია იმდენად გულუბრყვილოა, რომ ობიექტზე, რომელიც კატეგორიულად და ნამდვილად არ იყიდება, დაუჩემებია გინდა თუ არა უნდა ვიყიდოო?

ცნობისთვის: ჰიკსი და ჯილეტი თავიანთი კონტრაქტის ხელახალი დაფინანსებისთვის 300 მილიონი გირვანქის სესხებას აპირებენ და ეს ოპერაცია მომავალი კვირისთვის აქვთ დაგეგმილი. კიდევ, ინგლისელმა ჟურნალისტებმა შეიტყვეს, რომ საკუთრივ ჰიკსი და ჯილეტიც კამათობენ ერთმანეთში და თან საკმაოდ ცხარედ — არ არის გამორიცხული, ჯილეტმა [illegible] ლაპარაკება ისურვოს, თუმცა, ოფიციალურად, ამერიკელმა ბიზნესმენებმა თავიანთი წარმომადგენლის, რიი უინიკის პირით განაცხადეს, რომ მითქმა-მოთქმა „ლივერპულის“ შესაძლო გაყიდვის შესახებ უსაფუძვლოა.

და კიდევ ერთი ცნობა ლივერპულელთა ბანაკიდან: მოგეხსენებათ, ამასწინათ ტომ ჰიკსმა განაცხადა, რომ ორი თვის წინ, მერსისაიდელთა მწვრთნელის რაფა ბენიტესის ზურგსუკან გერმანელ იურგენ კლინსმანთან აწარმოებდა მოლაპარაკებას. ერთი სიტყვით, ფეხბურთელებისა და გულშემატკივრის სათაყვანებელი ბენიტესი გასაგდებად ჰყავდა გამზადებული. ამასთან დაკავშირებით „ლივერპულის“ ნორვეგიელმა ფეხბურთელმა იონ არნე რიისემ განაცხადა:

„ჩვენ, მოთამაშეებმა არ ვიცით, რას ფიქრობენ მეპატრონეები, მაგრამ ნურავის დაავიწყდება, რომ ბენიტესმა „ენფილდ როუდზე“ ბევრი ჯილდო მოიტანა. ის საგანგებო პატივისცემის ღირსია და მის მიმართ ასეთი ქცევა უბრალოდ სირცხვილია“.

**პაპუნა ძიძია**

| XXIII ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ბირმინგემი | : | ჩელსი |
| ბლექბერნი | : | მიდლსბრო |
| ფულემი | : | არსენალი |
| ნიუკასლი | : | ბოლტონი |
| პორტსმუთი | : | დერბი |
| რედინგი | : | მანჩესტერი |
| ტოტენჰემი | : | სანდერლენდი |
| **ხვალ** | | |
| სიტი | : | ვესტ ჰემი |
| უიგანი | : | ევერტონი |
| **ზეგ** | | |
| ლივერპული | : | ასტონ ვილა |

# ინგლისი

## კიგანს სამი დაემალნენ

**„ნიუკასლი“** ახალი მწვრთნელით, კევინ კიგანით დაუხვდება „ბოლტონს“ და ხუთმატჩიანი მოუგებელი სერიის შეწყვეტას შეეცდება. კიგანის გუნდს სამი დისკვალიფიცირებული ფეხბურთელი ვერ დაეხმარება. ემრე, ნიკი ბატი და ალან სმიტი დასჯილები არიან. „ბოლტონს“ მაკკენი დააკლდება, მაგრამ ახალშეძენილი გრეტარ სტეინსინი და მეტ ტეილორი ალბათ ძირითად შემადგენლობაში გამოჩნდებიან.

ლონდონურ დერბიში „არსენალი“ „ფულემს“ ესტუმრება, ვისი საქმეც უკან-უკან მიდის და უკვე ექვს ტურზე მეტია, არ მოუგია. „მეთოფეებს“ ტრავმირებული ჰყავთ თეო უოლკოტი და რობინ ვან პერსი, ხოლო ტომაშ როსიცკი გამოკეთდა. ფულემელებს გამოუჯანმრთელდათ იან პირსი, ბრაიან მაკბრაიდი და ფილიპ კრისტანვალი, მცველი პოლ კონჩესკი კი დისკვალიფიცირებულია.




„მანჩესტერმა“ პირველ წრეში შინ ერთადერთი ფრე „რედინგთან“ ითამაშა. სწორედ იმ გუნდს ეწვევიან ალექს ფერგიუსონის შეგირდები, რომლებმაც წინა ტურში „ნიუკასლი“ 6:0 გაანადგურეს. „რედინგს“ ზედიზედ სამი მატჩი აქვს წაგებული 11 გაშვებული გოლით, ასეთი მეტოქის ძლევა „მანჩესტერს“ არ უნდა გაუჭირდეს. მით უმეტეს, რომ „რედინგში“ მაიკლ დაბერი, ჯონ ოსტერი და გლენ ლიტლი ტრავმირებულნი არიან, ხოლო სტუმრებს ყველა ჯანზე ჰყავთ.

მიჯრით სამ ტურში მომგები „ჩელსი“ „ბირმინგემში“ შეეცდება სამი ქულის მოპოვებას. ბირმინგემელებმა გუშინ „ევერტონის“ შოტლანდიელი ფორვარდი ჯეიმს მაკფადენი იყიდეს და ალექს მაკლიში ალბათ მას პირდაპირ ბრძოლაში ჩართავს. ჩელსელთა ახალწვეული ბრანისლავ ივანოვიჩი შესაძლოა ძირითად შემადგენლობაში გამოჩნდეს, ისევე როგორც ერთი კვირის წინ ნაყიდი ნიკოლა ანელკა. ფრენკ ლამპარდმა თითქმის ბოლომდე მოიშუშა ტრავმა და გამორიცხული არაა, ავრაამ გრანტმა ისიც ათამაშოს.

უკვე სამი კვირაა, „ლივერპულს“ არ მოუგია და ზეგ საკმაოდ ძლიერ მეტოქეს უმასპინძლებს. „ასტონ ვილამ“ ზედიზედ სამი შეხვედრა მოიგო და „ლივერპულს“ ქულებით გაუთანაბრდა. რაფაელ ბენიტესის გუნდს ტრავმის გამო დანიელ აგერი დააკლდება, მაგრამ სამაგიეროდ ფაბიო აურელიო გამოკეთდა.

წინა ტურში „ჩელსისთან“ დამარცხებული „ტოტენჰემი“ „სანდერლენდის“ დაუხვდება, ვისთანაც პირველ წრეში წააგო, ხოლო ლიდერებთან მიახლოებული „ევერტონი“ გამოჯანმრთელებული მეგოლით ენდრიუ ჯონსონით უიგანს ეწვევა.

**ვაჟა ხუციშვილი**

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მანჩესტერი | | | 2:0 | | 2:1 | | | 2:0 | | | 6:0 | 1:0 | 0:0 | 4:1 | | 1:0 | 4:0 | 1:0 | 2:0 | 4:1 | 22 | 16 | 3 | 3 | 44:11 | 51 | 11 | 1 | 0 | 29:3 | 34 | 5 | 2 | 3 | 15:8 | 17 |
| 2 | არსენალი | 2:2 | | 1:0 | | | | 1:0 | | 3:1 | 2:0 | | 2:1 | | | 2:0 | 1:1 | 2:0 | 3:2 | 2:1 | 5:0 | 22 | 15 | 6 | 1 | 43:17 | 51 | 10 | 2 | 0 | 26:8 | 32 | 5 | 4 | 1 | 17:9 | 19 |
| 3 | ჩელსი | | | | | 1:1 | 4:4 | 6:0 | 0:0 | 1:0 | 1:0 | 2:1 | 2:0 | | | | 3:2 | | 2:0 | 0:0 | | 22 | 14 | 5 | 3 | 35:16 | 47 | 7 | 4 | 0 | 22:8 | 25 | 7 | 1 | 3 | 13:8 | 22 |
| 4 | ლივერპული | 0:1 | 1:1 | 1:1 | | | | | | 4:1 | | | 2:2 | | | 4:0 | 0:0 | 1:1 | | 2:0 | 6:0 | 21 | 10 | 9 | 2 | 35:14 | 39 | 4 | 5 | 1 | 21:7 | 17 | 6 | 4 | 1 | 14:7 | 22 |
| 5 | ევერტონი | 0:1 | 1:4 | | 1:2 | | | 1:0 | 1:1 | | | | | | 2:0 | 2:0 | 3:1 | 2:1 | 7:1 | 3:0 | | 22 | 12 | 3 | 7 | 38:22 | 39 | 7 | 1 | 3 | 23:11 | 22 | 5 | 2 | 4 | 15:11 | 17 |
| 6 | ასტონ ვილა | 1:4 | 1:2 | 2:0 | 1:2 | 2:0 | | 1:1 | | 1:3 | 1:0 | | 2:1 | 3:1 | | | | | | 2:1 | 2:0 | 22 | 11 | 6 | 5 | 40:28 | 39 | 7 | 1 | 4 | 19:15 | 22 | 4 | 5 | 1 | 21:13 | 17 |
| 7 | სიტი | 1:0 | | | 0:0 | | 1:0 | | 2:2 | | | 3:1 | | 2:1 | 3:1 | 4:2 | 1:0 | | 1:0 | | 1:0 | 22 | 11 | 6 | 5 | 29:23 | 39 | 9 | 2 | 0 | 19:7 | 29 | 2 | 4 | 5 | 10:16 | 10 |
| 8 | ბლექბერნი | | 1:1 | 0:1 | 0:0 | | 0:4 | 1:0 | | 0:1 | 0:1 | 3:1 | | 4:2 | | | 2:1 | | 1:0 | | | 22 | 10 | 6 | 6 | 30:29 | 36 | 5 | 2 | 4 | 12:12 | 17 | 5 | 4 | 2 | 18:17 | 19 |
| 9 | პორტსმუთი | 1:1 | 0:0 | | 0:0 | 0:0 | | 0:0 | | | 0:0 | | 0:1 | 7:4 | 0:1 | 3:1 | | | | | | 22 | 9 | 7 | 6 | 31:22 | 34 | 2 | 6 | 2 | 11:8 | 12 | 7 | 1 | 4 | 20:14 | 22 |
| 10 | ვესტ ჰემი | 2:1 | 0:1 | | | 0:2 | | 0:2 | | | | | 1:1 | 1:1 | 3:0 | 1:1 | | 1:1 | 3:1 | 2:1 | | 21 | 9 | 5 | 7 | 27:20 | 32 | 4 | 4 | 3 | 14:12 | 16 | 5 | 1 | 4 | 13:8 | 16 |
| 11 | ნიუკასლი | | 1:1 | | 0:3 | 3:2 | 0:0 | 0:2 | | 1:4 | 3:1 | | 3:1 | | | | 2:1 | 1:0 | | | 2:2 | 22 | 7 | 5 | 10 | 27:39 | 26 | 5 | 3 | 3 | 16:17 | 18 | 2 | 2 | 7 | 11:22 | 8 |
| 12 | ტოტენჰემი | | 1:3 | | | 1:3 | 4:4 | 2:1 | 1:2 | | | | | 6:4 | | | 2:3 | 4:0 | | 5:1 | 4:0 | 22 | 6 | 6 | 10 | 42:40 | 24 | 5 | 1 | 4 | 30:21 | 16 | 1 | 5 | 6 | 12:19 | 8 |
| 13 | რედინგი | | 1:3 | 1:2 | 3:1 | 1:0 | | | | 0:2 | 0:3 | 2:1 | | | 1:1 | | | 2:1 | 2:1 | | 1:0 | 22 | 6 | 4 | 12 | 30:47 | 22 | 6 | 1 | 4 | 14:15 | 19 | 0 | 3 | 8 | 16:32 | 3 |
| 14 | მიდლსბრო | | 2:1 | 0:2 | 1:1 | 0:2 | 0:3 | | 1:2 | | 1:2 | 2:2 | 1:1 | | | | 2:0 | | 2:2 | | | 22 | 5 | 6 | 11 | 19:36 | 21 | 2 | 4 | 5 | 12:18 | 10 | 3 | 2 | 6 | 7:18 | 11 |
| 15 | ბოლტონი | 1:0 | | 0:1 | | 1:2 | 1:1 | | 1:2 | | | 1:3 | 1:1 | 3:0 | 0:0 | | 3:0 | 4:1 | | | 1:0 | 22 | 5 | 5 | 12 | 24:34 | 20 | 5 | 3 | 4 | 17:11 | 18 | 0 | 2 | 8 | 7:23 | 2 |
| 16 | ბირმინგემი | 0:1 | | | | | 1:2 | | | 0:2 | 0:1 | | | 1:1 | 3:0 | 1:0 | | 3:2 | 2:2 | 1:1 | | 22 | 5 | 5 | 12 | 23:33 | 20 | 3 | 3 | 4 | 12:12 | 12 | 2 | 2 | 8 | 11:21 | 8 |
| 17 | უიგანი | | | 0:2 | 0:1 | | 1:2 | 1:1 | 5:3 | 0:2 | | 1:0 | | | 1:0 | | | | 3:0 | 1:1 | | 22 | 5 | 5 | 12 | 22:37 | 20 | 4 | 2 | 4 | 13:12 | 14 | 1 | 3 | 8 | 9:25 | 6 |
| 18 | სანდერლენდი | 0:4 | | | 0:2 | | 1:1 | | 1:2 | 2:0 | | 1:1 | 1:0 | 2:1 | | 3:1 | | | | 1:1 | 1:0 | 22 | 5 | 5 | 12 | 22:40 | 20 | 5 | 3 | 3 | 13:13 | 18 | 0 | 2 | 9 | 9:27 | 2 |
| 19 | ფულემი | | | 1:2 | | | | 3:3 | 2:2 | 0:2 | | 0:1 | 3:3 | 3:1 | 1:2 | 2:1 | | 1:1 | | | 0:0 | 22 | 2 | 9 | 11 | 23:39 | 15 | 2 | 5 | 4 | 16:18 | 11 | 0 | 4 | 7 | 7:21 | 4 |
| 20 | დერბი | | | 0:2 | 1:2 | 0:2 | | | 1:2 | 2:2 | 0:5 | 1:0 | | | 0:1 | 1:1 | 1:2 | 0:1 | | | | 22 | 1 | 4 | 17 | 10:47 | 7 | 1 | 2 | 8 | 7:20 | 5 | 0 | 2 | 9 | 3:27 | 2 |

## იტალია

### თასის მერვედფინალი
### საპასუხო მატჩები

**ინტერი 3:0 რეჯინა (4:1)**

1:0 კრესპო (34), 2:0 კაშიონე (45ს.კ.), 3:0 სეზარი (90).

ინტერი: ალფონსო, სეზარი, ბურდისო (ფილიპინი 82), რივასი, ფატიჩი, სოლარი, პელე, ბოლცონი, სტანკოვიჩი (სილიგარდი 46), ბალოტელი, კრესპო (ფ. მანჩინი 82)

მწვრთნელი: რობერტო მანჩინი

რეჯინა: ნოვაკოვიჩი, კაშიონე, სტადსგაარდი (ბარბერა 51), კერუბინი (ტოსკანო 80), ე. ალვარესი, ტონიოლი (შატმარი 76), კორიზი, პეტინარი, ვიოლა, მონტიელი, ტულბერგი

მწვრთნელი: რენცო ულივიერი

გაფრთხილება: კორიზი

მსაჯი: ზალატი

4 000 მაყურებელი

**ნაპოლი 1:1 ლაციო (1:2)**

0:1 ტარე (55), 1:1 დომიცი (79)

### მეოთხედფინალის წილისყრა

რომა — სამპდორია

უდინეზე — კატანია

ლაციო — ფიორენტინა

იუვენტუსი — ინტერი

*I მატჩები გაიმართება 23 იანვარს, საპასუხოები — 30 იანვარს*

# ბედნიერი მანჩინი და უიღბლო კაშიონე



რეჯინელი ტულბერგისა და ინტერელი ბურდისოს ორთაბრძოლა

**როგორც** მოსალოდნელი იყო, მიუხედავად აბსოლუტურად ახალგაზრდული შემადგენლობით თამაშისა, „ინტერმა“ ძალიან ადვილად მოუგო „რეჯინას“ — 3:0. „ნერაძური“ იტალიის თასის მეოთხედფინალში „იუვენტუსს“ შეხვდება.

მატჩის უიღბლო რეჯოკალაბრიელთა მცველი ემანუელ კაშიონე გახლდათ. მას ჯერ ერნან კრესპოს შორეული დარტყმული მოხვდა და ბურთი ამის მერე შევარდა ნენად ნოვაკოვიჩის კარში, მერე კი კაშიონემ მარიო ბალოტელის კროსი ჩაჭრა საკუთარ კარში.

მეორე ტაიმში მთავარი ამბავი ის გახლდათ, რომ 81-ე წუთზე მინდორზე „ინტერის“ მწვრთნელის რობერტო მანჩინის 17 წლის ვაჟი ფილიპო შევიდა. წერტილი კი ბოლო წუთზე სეზარმა დასვა.

„ეს ჩემთვის უმნიშვნელოვანესი და ამაღელვებელი დღე იყო, რომელიც არასდროს დამავიწყდება. მინდა, ამისთვის მამაჩემს დიდი მადლობა გადავუხადო. ასევე არასდროს დავივიწყებ იმ მწვრთნელებს, რომლებიც აქამდე მყავდა. რა მითხრა მამაჩემმა, სანამ მინდორზე გამიშვებდა? ითამაშე მარტივად და მშვიდადო. რატომ მაცვია 17-ნომრიანი მაისურა? არ მინდა, ვინმეს შეურაცხყოფა მივაყენო, მაგრამ იმიტომ, რომ 17 ნომრით ჩემი კერპი კრიშტიანუ რონალდუ თამაშობს“ — აღნიშნა ახალგაზრდა ფორვარდმა.

რობერტო მანჩინი: „ცხადია, ეს ჩემთვის ემოციური დღე იყო. თუმცა ჩემი ვაჟი, სხვების დარად, ნიჭიერი ახალგაზრდაა და როგორც ფეხბურთელს, სწორედ ისე ვუყურებ. რამდენიმე ნორჩი ტალანტი „რეჯინასაც“ ჰყავდა მინდორზე. შესაძლოა, ხალხი იტალიის თასს დიდ ყურადღებას არ აქცევს, მაგრამ ეს ძალიან მნიშვნელოვანი ტურნირია, განსაკუთრებით ახალგაზრდობისთვის.

„ლაციოს“ „ნაპოლისთან“ პირველი მატჩი 1:0 ჰქონდა მოგებული და „სან პაოლოზე“ რთული ბრძოლის გადატანა მოუხდა, მაგრამ დელიო როსის შეგირდებმა მაინც შეძლეს მეოთხედფინალში გასვლა, სადაც „ფიორენტინას“ შეხვდებიან.

პირველი ტაიმი „ლაციომ“ უკეთ ჩაატარა. რომაელებს ერთ საკამათო ეპიზოდში გოლიც კი არ ჩაუთვალეს. ისინი 55-ე წუთზე დაწინაურდნენ, როცა კრისტიან ლედესმას ჩაწოდებულ საჯარიმოს აყლაყუდა იგლი ტარემ თავი შეაგება.

ნეაპოლელები ამის შემდეგ [illegible]რდნენ და რომ არა ახალგაზრდა ურუგვაელი მეკარის ფერნანდო მუსლერას ყოჩაღობა, ვინ იცის, რა მოხდებოდა. თუმცა ერთი გოლი „ვეზუვიანიმ“ მაინც გაიტანა და დამსახურებულადაც — მაურიციო დომიციმ ეზეკიელ ლავეცის პასით იხეირა.

„ჩვენთვის იტალიის თასი ძალიან მნიშვნელოვანი ტურნირი გახლავთ, რადგან ევროსარბიელზე მოხვედრის შანსს გვაძლევდა. თუმცა, როგორც ჩანს, ვიღაც ასე არ ფიქრობდა. შეიძლება, ასეც იყოს, მაგრამ სხვას მაინც არ უნდა შეეშალა ხელი. ნამდვილი ნეაპოლელი ვარ და სულ მოგება მინდა. ამიერიდან მწვრთნელს და ფეხბურთელებს მეტს მოვთხოვ. აქამდე, როცა კლუბის საქმეებში აქტიურად ჩარევა ვცადე, მითხრეს, ყველაფერი კარგად მიდის, უბრალოდ, გაჩუმდი და უყურეო. მინდა, ვინმე დავიმატოთ, განსაკუთრებით გარემარბები. ახლა მთავარია, სერია A-ში ადგილი შევინარჩუნოთ“ — თქვა „ნაპოლის“ შეფმა აურელიო დე ლაურენტისმა.

**გიორგი ქაქაბაძე**

### XIX ტური

**დღეს**

ფიორენტინა : ტორინო

ჯენოა : ატალანტა

**ხვალ**

ინტერი : პარმა

იუვენტუსი : სამპდორია

ლივორნო : ემპოლი

ნაპოლი : ლაციო

პალერმო : სიენა

რეჯინა : კალიარი

რომა : კატანია

უდინეზე : მილანი

# ინტერი
# დაცვას მიხედე, კლაუდიო, დაცვას

**ჯერჯერობით** შეუჩერებელი მილანის „ინტერი“ „პარმას“ მასპინძლობს. ორივე გუნდს ჰყავს ახალწვეული: „ნერაძურის“ — პორტუგალიელი ნახევარმცველი მანიშე, სტუმრებს კი სერია A-ში გამოცდილი ბომბარდირი კრისტიანო ლუკარელი, მაგრამ შედგება თუ არა მათი დებიუტი ამ მატჩში, ჯერ უცნობია.

პატრიკ ვიეირა, ლუიშ ფიგუ, ოლივიე დაკური, ვალტერ სამუელი, დავიდ სუაზო და ფრანჩესკო ტოლდო კვლავ დაშავებულნი არიან. რამდენიმე ფეხბურთელი „პარმასაც“ აკლია. აღვნიშნოთ ისიც, რომ „ენიო ტარდინის“ ბინადრებს „ინტერისთვის“ სტუმრად 1999 წლის 8 მაისს მერე არ მოუგიათ.

მეორეადგილოსანი „რომა“ მშვენიერ ხასიათსა და ფორმაში მყოფ „კატანიას“ მასპინძლობს. სიცილიელებმა ჯერ ლამის „იუვენტუსს“ მოუგეს, მერე კი იტალიის თასიდან „მილანი“ გააგდეს. მათ მოტივაციას ისიც მატებთ, რომ წინა სეზონში „სტადიო ოლიმპიკოზე“ „რომასთან“ 0:7 განადგურდნენ. თუმცა „კატანია“ „სახლის“ გუნდია და ძნელად სავარაუდოა, თავისთვის რამე სასარგებლოს გამორჩეს. მიმდინარე სერია A-ში სტუმრად „ელეფანტის“ ერთი მატჩიც არ მოუგია. ისე კი, ორივე გუნდის შემადგენლობა საბრძოლოა.

ტურის ერთ-ერთი უმთავრესი მატჩი ტურინის „სტადიო ოლიმპიკოზეა“, რომელზეც „იუვენტუსი“ მშვენიერ ფორმაში მყოფ „სამპდორიას“ მასპინძლობს და ვინძლო ძალიან გაუჭირდეს, რადგან ასეთ მოტივირებულ გენუელებთან თამაში ყოველთვის ძნელია. მით უმეტეს, ეს კლუბები პრინციპული მეტოქეები არიან.

„სამპდორიასგან“ განსხვავებით, „ბებერ ქალბატონს“ არცთუ კარგი პერიოდი უდგას. კლაუდიო რანიერის დაცვაში განსაკუთრებული პრობლემები აქვს, რომლებიც ჯორჯო კიელინის დაახლოებით ერთი თვით დაშავებამ ერთიორად გაამწვავა. ტურინელებს ტრავმების გამო ჟორჟე ანდრადე, მაურო კამორანეზი და ჯონათან ზებინაც არ ჰყავთ. ანტონიო ნოჩერინო დისკვალიფიცირებულია. ნიკოლა ლეგროტალიე კი გაციებული გახლავთ, მაგრამ ალბათ ითამაშებს.

გენუელებს ვინჩენცო მონტელა და იკეჩუკვუ კალუ არ ჰყავთ, ხოლო ანდრეა კარაჩოლოს ტრავმა ბოლომდე ვერ მოუშუშებია.

„ტურინელების წინააღმდეგ ვითამაშებთ და ვეცდებით, იმით ვისარგებლოთ, რომ ახლა კარგ ფორმაში ვართ. ამჟამად მართლაც კარგი პერიოდი გვიდგას და თუ კასანოც ასე თამაშს გააგრძელებს... ანტონიომ უკვე გაგვიმართლა იმედები და ზაფხულში მას სიამოვნებით გამოვისყიდით, თუ „რეალთან“ შეთანხმებას მივაღწევთ, ის კი ხელფასის შემცირებას დაჰყაბულდება“ — თქვა „სამპდორიას“ სპორტული დირექტორმა ჯუზეპე გაროტამ.

არანკლებ საინტერესო მატჩია „ფრიულიზე“, სადაც მეოთხეადგილოსანი „უდინეზე“ წინ ნელ-ნელა მცოცავ „მილანს“ მასპინძლობს. როგორც იქნა, „როსონერიმ“ თითქმის მთელ შემადგენლობას მოუყარა თავი და თან მილანელები „ძებრეტეს“ წინააღმდეგ ტრადიციულად კარგად თამაშობენ, მაგრამ „უდინეზე“ მიმდინარე სერია A-ში ერთ-ერთი ყველაზე სტაბილური და რთულად დასამარცხებელი გუნდია, ასე რომ...

„დუბაიში შეკრებამ მშვენივრად ჩაიარა, რაც „ნაპოლისთან“ მატჩშიც დამტკიცდა. მიხარია, რომ ახლა თავდასხმაში თანამემამულეებთან, რონალდოსა და ალეშანდრე პატოსთან ერთად ვთამაშობ. ისინი ბრწყინვალე ფეხბურთელები არიან. გარდა ამისა, შეტევაში ალბერტო ჯილარდინო და ფილიპო ინძაგიც გვყავს, სხვა მოთამაშეებზე რომ აღარაფერი ვთქვა. მახარებს ისიც, რომ დაცვაში ნელ-ნელა მკვიდრდება და კარგად თამაშობს ჩემი ძმა დიგაო. მას, როგორც უბრალოდ კაკას ძმას, აღარავის აღიქვამს. ერთი სიტყვით, ახლა კარგ ფორმაში ვართ და ვფიქრობ, პროგრესირებას გავაგრძელებთ. ჩვენი პროგრამა-მინიმუმი სერია A-ში ოთხეულში შესვლა და ჩემპიონთა ლიგაში წარმატებული თამაშია“ — განაცხადა „მილანის“ ბრაზილიელმა ლიდერმა კაკამ.

„ფიორენტინა“ საბრძოლო შემადგენლობით მასპინძლობს „ტორინოს“. ტურინელებს რამდენიმე მოთამაშე აკლიათ, ლიდერი ალესანდრო როზინას თამადობით.

გამორჩეული მატჩია ნეაპოლში. „სან პაოლოზე“ „ნაპოლი“ „ლაციოს“ მასპინძლობს. კრიზისში მყოფმა „ბიანკოჩელესტიმ“ ეს შეხვედრა თუ ვერ მოიგო, ან თუნდაც ქულა თუ ვერ აიღო, ურთულეს მდგომარეობაში ჩავარდება.

**გიორგი ქაქაბაძე**

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ინტერი | | | | 1:1 | | | 3:0 | 2:1 | 2:1 | 2:0 | 4:1 | 2:1 | | | 3:0 | 4:0 | | | | |
| 2 | რომა | 1:4 | | 2:2 | 2:1 | | | 2:0 | 4:4 | | | | | | | 3:2 | | | 3:0 | | 2:0 |
| 3 | იუვენტუსი | 1:1 | | | 0:1 | | 5:0 | | | 1:0 | | 1:0 | | | 5:1 | | | 3:0 | 2:0 | 4:0 | |
| 4 | უდინეზე | | | | | | 1:1 | 3:2 | 0:5 | | | | | 2:1 | | | 2:1 | 2:2 | 2:0 | 2:0 | |
| 5 | ფიორენტინა | 0:2 | 2:2 | 1:1 | 1:2 | | | | 1:0 | 2:2 | | | | | | | | 3:1 | 3:0 | | 5:1 |
| 6 | პალერმო | 0:0 | 0:2 | | | 2:0 | | | 2:1 | | | | 2:1 | 1:1 | | 2:2 | 1:1 | | | 1:1 | |
| 7 | სამპდორია | | | | | 2:2 | 3:0 | | | 3:0 | | 0:0 | 0:5 | 3:0 | | 0:0 | | 3:0 | | 3:0 | |
| 8 | ნაპოლი | | | 3:1 | | | | 2:0 | | | 2:0 | 1:2 | | 1:0 | 1:0 | | 1:1 | | | 1:1 | 0:2 |
| 9 | ატალანტა | | 1:2 | | 0:0 | | 1:3 | | 5:1 | | | | | 2:0 | | 2:1 | 2:2 | | | | 2:2 |
| 10 | კატანია | | | 1:1 | 2:0 | 0:1 | 3:1 | 2:0 | | 1:2 | | 0:0 | | | 1:0 | | | 1:0 | | | |
| 11 | ჯენოა | | 0:1 | | 3:2 | 0:0 | 3:3 | | | | | | 0:3 | 1:0 | 1:1 | | | | 1:3 | | 2:0 |
| 12 | მილანი | | 0:1 | 0:0 | | 1:1 | | | 5:2 | | 1:1 | | | 1:1 | | | 0:0 | 0:1 | | | |
| 13 | პარმა | | 0:3 | 2:2 | | 1:2 | | | | | 2:2 | | | | 3:2 | | 2:0 | 1:0 | 2:2 | 3:0 | 1:1 |
| 14 | ლივორნო | 2:2 | 1:1 | | 0:0 | 0:3 | 2:4 | 3:1 | | 1:1 | | | | | | 0:1 | | | | | |
| 15 | ლაციო | | | 2:3 | 0:1 | 0:1 | | | | | 2:0 | 1:2 | 1:5 | 1:0 | | | 2:2 | 0:0 | | | 3:1 |
| 16 | ტორინო | | 0:0 | 0:1 | | | | 1:0 | | | 1:1 | 1:1 | | | 1:2 | | | | 1:1 | 2:2 | 2:0 |
| 17 | ემპოლი | 0:2 | 2:2 | | | | 3:1 | | 0:0 | 0:1 | | 1:1 | | | | | 0:0 | | | 1:1 | 4:1 |
| 18 | სიენა | 2:3 | | | | | | 1:2 | 1:1 | 1:1 | 1:1 | | 1:1 | | 2:3 | 1:1 | | 3:0 | | 0:0 | |
| 19 | რეჯინა | 0:1 | 0:2 | | | 0:0 | | | | 1:1 | 3:1 | 2:0 | | | 1:3 | 1:1 | | | | | |
| 20 | კალიარი | 0:2 | | 2:3 | 0:1 | | 0:1 | 0:3 | | | 1:1 | | 1:2 | | 0:0 | | | | 1:0 | | |

| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ინტერი | 18 | 14 | 4 | 0 | 40:11 | 46 | 8 | 1 | 0 | 23:5 | 25 | 6 | 3 | 0 | 17:6 | 21 |
| 2 | რომა | 18 | 11 | 6 | 1 | 35:19 | 39 | 5 | 2 | 1 | 19:13 | 17 | 6 | 4 | 0 | 16:6 | 22 |
| 3 | იუვენტუსი | 18 | 10 | 6 | 2 | 36:16 | 36 | 7 | 1 | 1 | 22:3 | 22 | 3 | 5 | 1 | 14:13 | 14 |
| 4 | უდინეზე | 18 | 9 | 5 | 4 | 23:21 | 32 | 5 | 2 | 1 | 14:12 | 17 | 4 | 3 | 3 | 9:9 | 15 |
| 5 | ფიორენტინა | 18 | 8 | 7 | 3 | 28:17 | 31 | 4 | 3 | 2 | 18:11 | 15 | 4 | 4 | 1 | 10:6 | 16 |
| 6 | პალერმო | 18 | 6 | 7 | 5 | 25:30 | 25 | 3 | 5 | 1 | 11:9 | 14 | 3 | 2 | 4 | 14:21 | 11 |
| 7 | სამპდორია | 18 | 7 | 3 | 8 | 25:24 | 24 | 5 | 3 | 1 | 17:7 | 18 | 2 | 0 | 7 | 8:17 | 6 |
| 8 | ნაპოლი | 18 | 6 | 5 | 7 | 27:27 | 23 | 5 | 2 | 2 | 12:7 | 17 | 1 | 3 | 5 | 15:20 | 6 |
| 9 | ატალანტა | 17 | 5 | 7 | 5 | 24:23 | 22 | 3 | 3 | 2 | 15:11 | 12 | 2 | 4 | 3 | 9:12 | 10 |
| 10 | კატანია | 18 | 5 | 7 | 6 | 18:20 | 22 | 5 | 2 | 2 | 11:5 | 17 | 0 | 5 | 4 | 7:15 | 5 |
| 11 | ჯენოა | 18 | 5 | 7 | 6 | 18:24 | 22 | 3 | 3 | 3 | 11:13 | 12 | 2 | 4 | 3 | 7:11 | 10 |
| 12 | მილანი | 15 | 5 | 6 | 4 | 26:14 | 21 | 1 | 5 | 2 | 8:7 | 8 | 4 | 1 | 2 | 18:7 | 13 |
| 13 | პარმა | 18 | 4 | 6 | 8 | 20:26 | 18 | 4 | 4 | 2 | 17:14 | 16 | 0 | 2 | 6 | 3:12 | 2 |
| 14 | ლივორნო | 17 | 4 | 6 | 7 | 21:28 | 18 | 1 | 4 | 3 | 9:13 | 7 | 3 | 2 | 4 | 12:15 | 11 |
| 15 | ლაციო | 18 | 4 | 6 | 8 | 20:27 | 18 | 3 | 2 | 5 | 12:15 | 11 | 1 | 4 | 3 | 8:12 | 7 |
| 16 | ტორინო | 18 | 2 | 11 | 5 | 16:22 | 17 | 2 | 5 | 2 | 9:8 | 11 | 0 | 6 | 3 | 7:14 | 6 |
| 17 | ემპოლი | 18 | 3 | 7 | 8 | 15:25 | 16 | 2 | 5 | 2 | 11:9 | 11 | 1 | 2 | 6 | 4:16 | 5 |
| 18 | სიენა | 18 | 2 | 8 | 8 | 19:28 | 14 | 1 | 6 | 3 | 13:13 | 9 | 1 | 2 | 5 | 6:15 | 5 |
| 19 | რეჯინა | 17 | 2 | 8 | 7 | 13:26 | 14 | 2 | 3 | 3 | 8:9 | 9 | 0 | 5 | 4 | 5:17 | 5 |
| 20 | კალიარი | 18 | 2 | 4 | 12 | 13:34 | 10 | 1 | 2 | 6 | 5:13 | 5 | 1 | 2 | 6 | 8:21 | 5 |

# იქირავეს და დასვამენ



**„ბარსელონამ"** სეზონის ბოლომდე მეკარე იქირავა. ეს გახლავთ ჟოზე მანუელ პინტუ სეგუნდადივიზიონის „სელტადან". გოლკიპერმა კატალონიის დედაქალაქში სამედიცინო შემოწმება გუშინ გაიარა. მთელი ოპერაცია „ბარსას" 500 000 ევრო დაუჯდა, რაც დოლარებში 732 900-ის ტოლფასია.

ცნობისთვის: ჟოზე მანუელ პინტუ 32 წლის გახლავთ და „ბარსელონას" ძირითადი გოლკიპერის ვიქტორ ვალდესის დასაზღვევად სჭირდება. საქმე ის გახლავთ, რომ კატალონიურ კლუბში ვალდესის შემცვლელად ალბერტ ხორკერა ითვლებოდა, მაგრამ ერთ-ერთ არაოფიციალურ საშობაო ტურნირზე მან ძლიერ დაიზიანა მუხლი და კარგა ხნით ჩამოშორდა საქმეს.

პინტუ „სელტაში" 1999 წელს „რეალ ბეტისიდან" გადავიდა. ესპანეთის პრიმერადივიზიონში მან 126 თამაში ჩაატარა. აქვს ჩემპიონთა ლიგასა და უეფას თასზე თამაშის გამოცდილება.

**ბაჩუნა ძიდია**



# შენც, დეკუ?

**ცნობილმა** პორტუგალიელმა ფეხბურთელმა დეკუმ განაცხადა, რომ დარჩება თუ არა „ბარსელონაში", სეზონის ბოლოს გადაწყვეტს. როგორც გაირკვა, წარმოშობით ბრაზილიელ ნახევარმცველს საკმაოდ აწუხებს პრესის დაჟინებული ყურადღება.

თურმე, გაზეთებში ინტენსიურად წერდნენ, თითქოს ხმები მისი ამასწინანდელი ტრავმის შესახებ გამოგონებული იყო და ნამდვილი მიზეზი იმისა, თუ რატომ არ ითამაშა ორიოდ შეხვედრაში, სხვა იყო.

„ახლა არ მინდა ჩემი მომავლის შესახებ საუბარი, რადგან „ბარსელონასთან" კონტრაქტი მაკავშირებს — განუცხადა ვარსკვლავმა ჟურნალისტებს, ოღონდ დასძინა — თუმცა, რაღაც-რაღაც საკითხები, ცხადია, იცვლება. კერძოდ რა? ამაზე საუბარი დღეს, როდესაც სეზონი მიმდინარეობს და ჩვენს გუნდს ჯილდოების მოგება შეუძლია, არ მსურს. ჩემს ბედს სეზონის ბოლოს გადავწყვეტ. ფეხბურთში ყველაფერი ძალიან სწრაფად იცვლება. კარგიცა და ცუდიც მალე ეძლევა დავიწყებას. ყოველდღე უამრავი ადამიანი უამრავ რამეზე ლაპარაკობს, თუმცა საბოლოოდ ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, თუ რას იტყვიან გულშემატკივრები. მადლობა ღმერთს, ამ მხრივ საქმე ნამდვილად კარგად მაქვს".

ესპანური პრესა კი წერს, რომ პორტუგალიელს გულში „მანჩესტერ იუნაიტედში" გადასვლა ამოუჭრია.

**ბაჩუნა ძიდია**

| XX ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ვილიარეალი | : | ვალენსია |
| ხეტაფე | : | სევილია |
| **ხვალ** | | |
| ოსასუნა | : | ბილბაო |
| ბარსელონა | : | რასინგი |
| სარაგოსა | : | მურსია |
| ლევანტე | : | მალიორკა |
| ატლეტიკო | : | რეალი |
| ალმერია | : | დეპორტივო |
| ვალიადოლიდი | : | ესპანიოლი |
| ბეტისი | : | უელვა |

## ესპანეთი

# აგერო: ვნახოთ, რა იქნება კვირას...



**საშობაო-საახალწლო** შესვენების შემდეგ, „რეალი" ჯერ წესიერად ვერ დაიქოქა, რისი დასტურიც შუაკვირაში „სამეფო გუნდის" ესპანეთის თასიდან გამოვარდნაა. ბერნდ შუსტერის შეგირდებს „მალიორკასთან" პირველი მატჩი 1:2 ჰქონდათ წაგებული და „სანტიაგო ბერნაბეუზეც" დამარცხდნენ — 0:1.

ახლა „რეალს" „ატლეტიკოსთან" „ვისენტე კალდერონზე" ელის მადრიდული დერბი. თუმცა უახლოეს მდევარ „ბარსელონასთან" შვიდქულიანი უპირატესობა შუსტერის არმადას შედარებით მშვიდად ყოფნის საშუალებას აძლევს. მით უმეტეს, რომ ბოლოს „ატლეტიკომ" „რეალს" ოდენ 1999 წლის 30 ოქტომბერს მოუგო. ხავიერ აგირეს შეგირდები მშვენიერ ფორმაში არიან და ამ წარუმატებელი სერიის შეწყვეტას ყველანაირად ეცდებიან.

„რეალის" მეკარე იკერ კასილიასს პრიმერადივიზიონში მიჯრით ხუთი მატჩია, კარი მშრალად აქვს შენახული, მაგრამ სერიის გაგრძელება ალბათ ძალიან გაუჭირდება, რადგან „ატლეტიკოს" საკმაოდ ძლიერი თავდასხმა ჰყავს, თან „სამეფო გუნდს" დაცვაში აქვს პრობლემები — გაბრიელ ჰაინცე, კრისტოფ მეცელდერი და პეპე დაშავებულნი არიან.

ბერნდ შუსტერი: „მალიორკასთან" დიდი სხვაობით მოგება შეგვეძლო, მაგრამ მომენტები ვერ გამოვიყენეთ და დავისაჯეთ. არ დაგვავიწყდეს, რომ საახალწლო შესვენების მერე თამაში სულ ახლახან განვაახლეთ და ასე უცებ სათანადო ფორმაში ჩადგომა ძნელია. ცხადია, „ატლეტიკოსთან" მოსაგებათ ვითამაშებთ.

„არა მგონია, „ატლეტიკოს" ჩვენსავით კარგი დაცვა ჰყავდეს, მაგრამ მისი თავდასხმა მართლაც ძალიან ძლიერია. ხოსე ანტონიო რეიესი, დიეგო ფორლანი, სერხიო აგერო და სიმაო უაღრესად სახიფათონი არიან" — თქვა „რეალის" მცველმა სერხიო რამოსმა.

„კასილიასი ძალიან კარგი მეკარეა, მაგრამ გოლების გატანა მის კარშიც შეიძლება. ვნახოთ, რა მოხდება კვირას. მშვიდად ვარ, მაგრამ ძალიან მინდა, „რეალს" გავუტნო და ამ მატჩს განსაკუთრებული განწყობით ველი. ბოლომდე ვიბრძოლებთ და არაფერს დავთმობთ. ბედნიერი ვიქნები, თუ ბოლო წუთზე გამარჯვების გოლს შევაგდებ" — ეს კი „ატლეტიკოს" ახალგაზრდა არგენტინელი ვარსკვლავის სერხიო აგეროს სიტყვებია.

„ბარსელონა" მიმდინარე სეზონის ყონ და ექსეულში დამკვიდრებულ „რასინგს" მასპინძლობს. ფრანკ რაიკარდს აფრიკის თასზე წასული კამერუნელი ფორვარდი სამუელ ეტოო არ ეყოლება. ტრავმა ჯერ არ მოუშუშებია რონალდინიოსაც. სამაგიეროდ, დაახლოებით ერთთვიანი პაუზის შემდეგ, მინდორს დაუბრუნდება ლიონელ მესი.

სანტანდერელები პირველ წრეში „ბარსელონას" ფრედ 0:0 ეთამაშნენ და პატარა საწაულის მოხდენას „ნოუ კამპზეც" ეცდებიან.

მეოთხეადგილოსანმა „ესპანიოლმა" წინა ტურში „ალმერიასთან" წააგო. მერე კი ესპანეთის თასზე „ბილბაოსთან" პენალტების სერიაში დამარცხდა. ახლა ბარსელონელები ეცდებიან, „ვალიადოლიდთან" მოგებით დაამშვიდონ გაბრაზებული ფანები. სხვათა შორის, პირველ წრეში „ესპანიოლი" შინ დამარცხდა 0:1 და შურიც აქვს საძიებელი.

„სევილია" საგარეო გამარჯვების გემოს გახსენებას „ხეტაფესთან" შეხვედრაში ეცდება. თუმცა მადრიდელებს სულ სხვა გეგმები აქვთ, მათ შინ მიჯრით ორი შეხვედრა აქვთ წაგებული და გასავარდნ ზონასთან ოდენ ქულა აშორებთ, ასე რომ, ქულები ჰაერივით სჭირდებათ.

ტურის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და პრინციპული ჯახი ვილიარეალშია — „ყვითლები" „ვალენსიას" მასპინძლობენ. მანუელ პელეგრინის შეგირდები ნელ-ნელა ისევ მოდიან ფერზე. „ღამურებს" კი ახლა არცთუ კარგი პერიოდი უდგათ, მაგრამ ამ შეხვედრაში ყველაფერია მოსალოდნელი...

**კოკი ქანდელაკი**

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | რეალი | | | 2:1 | | | 3:1 | | | | 3:1 | | 2:0 | 4:3 | | | 2:0 | 2:0 | 2:0 | 3:1 | | 19 | 15 | 2 | 2 | 41:14 | 47 | 9 | 0 | 0 | 23:7 | 27 | 6 | 2 | 2 | 18:7 | 20 |
| 2 | ბარსელონა | 0:1 | | 3:0 | | | | | 2:1 | | 2:0 | 3:1 | 4:1 | | 4:0 | | 3:0 | 3:0 | | 2:1 | | 19 | 12 | 4 | 3 | 38:13 | 40 | 9 | 0 | 1 | 26:5 | 27 | 3 | 4 | 2 | 12:8 | 13 |
| 3 | ატლეტიკო | | | | 1:2 | 3:4 | 4:0 | 1:0 | 4:3 | 4:3 | | | 4:0 | 1:1 | | 1:0 | | | 2:0 | | | 19 | 11 | 4 | 4 | 35:19 | 37 | 7 | 1 | 2 | 25:13 | 22 | 4 | 3 | 2 | 10:6 | 15 |
| 4 | ესპანიოლი | 2:1 | 1:1 | | | 3:0 | | | | 0:1 | | 2:1 | | | 0:0 | 1:0 | | | | 1:0 | 1:0 | 19 | 10 | 6 | 3 | 29:20 | 36 | 6 | 2 | 1 | 11:4 | 20 | 4 | 4 | 2 | 18:16 | 16 |
| 5 | ვილიარეალი | 0:5 | 3:1 | | | | | | 3:2 | | 1:1 | 1:0 | | | 2:0 | | 0:1 | 1:1 | | 4:3 | 3:0 | 19 | 11 | 2 | 6 | 34:30 | 35 | 6 | 2 | 2 | 18:14 | 20 | 5 | 0 | 4 | 16:16 | 15 |
| 6 | რასინგი | | 0:0 | | 1:1 | 0:2 | | 1:0 | | 2:0 | | 1:0 | | 3:1 | | 2:0 | | | | | 1:0 | 19 | 9 | 5 | 5 | 20:19 | 32 | 6 | 2 | 1 | 11:4 | 20 | 3 | 3 | 4 | 9:15 | 12 |
| 7 | ვალენსია | 1:5 | 0:3 | | 1:2 | 0:3 | | | | 2:1 | | 0:3 | | | 3:0 | 2:1 | | | | | 0:0 | 19 | 8 | 3 | 8 | 22:29 | 27 | 3 | 1 | 5 | 9:18 | 10 | 5 | 2 | 3 | 13:11 | 17 |
| 8 | სევილია | 2:0 | | | 2:3 | | 4:1 | 3:0 | | | | | | 1:2 | 3:1 | 4:1 | 3:0 | 4:1 | | 0:1 | | 19 | 8 | 2 | 9 | 35:25 | 26 | 7 | 0 | 3 | 26:10 | 21 | 1 | 2 | 6 | 9:15 | 5 |
| 9 | ვალიადოლიდი | 1:1 | 1:1 | | | 2:0 | | | 0:0 | | | 1:2 | | | 1:4 | | 0:0 | 3:1 | | 2:2 | 1:0 | 19 | 6 | 6 | 7 | 27:28 | 24 | 3 | 5 | 2 | 12:11 | 14 | 3 | 1 | 5 | 15:17 | 10 |
| 10 | ალმერია | | | 0:0 | 1:0 | | 0:1 | 1:2 | 1:0 | 1:0 | | | 0:1 | 1:1 | | 0:2 | | | 2:0 | | | 19 | 6 | 5 | 8 | 16:21 | 23 | 4 | 2 | 4 | 7:7 | 14 | 2 | 3 | 4 | 9:14 | 9 |
| 11 | ბილბაო | 0:1 | | 0:2 | | | | | 2:0 | | 1:1 | | 1:1 | | 1:1 | | 0:0 | 2:0 | 0:0 | 2:2 | | 19 | 5 | 7 | 7 | 18:19 | 22 | 2 | 6 | 2 | 9:8 | 12 | 3 | 1 | 5 | 9:11 | 10 |
| 12 | სარაგოსა | | | | 3:3 | 4:1 | 1:1 | 2:2 | 2:0 | 2:3 | | | | 2:2 | | 1:1 | | | 2:1 | | 3:0 | 19 | 5 | 7 | 7 | 29:32 | 22 | 4 | 5 | 1 | 22:14 | 17 | 1 | 2 | 6 | 7:18 | 5 |
| 13 | მალიორკა | | 0:2 | | 2:2 | 0:1 | | 0:2 | | 4:2 | | 0:0 | | | 1:1 | 4:2 | | | | | 3:0 | 19 | 5 | 7 | 7 | 28:31 | 22 | 3 | 3 | 3 | 14:12 | 12 | 2 | 4 | 4 | 14:19 | 10 |
| 14 | მურსია | 1:1 | | 1:1 | | | 2:1 | | | | 0:1 | | 2:1 | | | | 0:0 | 1:0 | 2:0 | 0:2 | | 19 | 5 | 7 | 7 | 16:24 | 22 | 4 | 3 | 2 | 9:7 | 15 | 1 | 4 | 5 | 7:17 | 7 |
| 15 | ხეტაფე | 0:1 | 2:0 | | | 1:3 | | | | 0:3 | | 2:0 | | | 2:0 | | | 1:1 | | 0:0 | 2:1 | 19 | 6 | 3 | 10 | 21:27 | 21 | 4 | 2 | 3 | 10:9 | 14 | 2 | 1 | 7 | 11:18 | 7 |
| 16 | ბეტისი | | | 0:2 | 2:2 | | 1:1 | 1:2 | | | 3:1 | | 2:1 | 3:0 | | 3:2 | | | 0:3 | | | 19 | 5 | 6 | 8 | 20:28 | 21 | 4 | 2 | 3 | 15:14 | 14 | 1 | 4 | 5 | 5:14 | 7 |
| 17 | უელვა | | | 0:0 | 2:1 | | 0:0 | 0:1 | | | 1:1 | | 2:1 | 0:2 | | | 1:1 | | 1:0 | | | 19 | 5 | 6 | 8 | 15:24 | 21 | 3 | 4 | 2 | 7:7 | 13 | 2 | 2 | 6 | 8:17 | 8 |
| 18 | ოსასუნა | | 0:0 | | 1:2 | 3:2 | 0:2 | 0:0 | 1:1 | 2:2 | | | | 3:1 | | 0:2 | | | | | 4:1 | 19 | 5 | 5 | 9 | 20:25 | 20 | 3 | 4 | 3 | 14:13 | 13 | 2 | 1 | 6 | 6:12 | 7 |
| 19 | დეპორტივო | | | 0:3 | | | 0:1 | 2:4 | | | 0:3 | | 1:1 | 1:1 | | | 1:0 | 0:2 | 1:2 | | | 19 | 4 | 5 | 10 | 19:31 | 17 | 1 | 2 | 6 | 6:17 | 5 | 3 | 3 | 4 | 13:14 | 12 |
| 20 | ლევანტე | 0:2 | 1:4 | 0:1 | | | | | 0:2 | | 3:0 | 1:2 | | | 0:0 | | 4:3 | 0:2 | | 0:1 | | 19 | 2 | 2 | 15 | 11:35 | 8 | 2 | 1 | 7 | 9:17 | 7 | 0 | 1 | 8 | 2:18 | 1 |

# წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | 19 იანვარი | | | | | | |
| 19:00 | 2 | ბირმინგემი-ჩელსი | 6.00 | 3.40 | 1.60 | 2.17 | 1.26 | 1.08 |
| 19:00 | 3 | ბირმინგემი-ჩელსი 1:0 | 2.20 | 3.30 | 2.60 | | | |
| 19:00 | 4 | ბლექბერნი-მიდლსბრო | 1.70 | 3.40 | 4.75 | 1.13 | 1.25 | 1.98 |
| 19:00 | 5 | ფულემი-არსენალი | 7.00 | 3.80 | 1.45 | 2.46 | 1.20 | 1.04 |
| 19:00 | 6 | ფულემი-არსენალი 1:0 | 2.60 | 3.30 | 2.15 | | | |
| 21:15 | 10 | ნიუკასლი-ბოლტონი | 1.90 | 3.20 | 3.85 | 1.19 | 1.27 | 1.74 |
| 19:00 | 11 | პორტსმუთი-დერბი | 1.35 | 4.00 | 10.00 | 1.00 | 1.18 | 2.85 |
| 19:00 | 12 | რედინგი-მანჩესტერი | 8.50 | 4.00 | 1.35 | 2.72 | 1.16 | 1.00 |
| 19:00 | 13 | რედინგი-მანჩესტერი 1:0 | 2.90 | 3.40 | 1.90 | | | |
| 19:00 | 14 | ტოტენჰემი-სანდერლენდი | 1.40 | 4.10 | 8.00 | 1.04 | 1.19 | 2.71 |
| | | 20 იანვარი | | | | | | |
| 20:00 | 8 | სიტი-ვესტ ჰემი | 1.90 | 3.30 | 4.00 | 1.20 | 1.28 | 1.80 |
| 20:00 | 9 | სიტი-ვესტ ჰემი 0:1 | 3.20 | 3.40 | 1.75 | | | |
| 17:30 | 15 | უიგანი-ევერტონი | 3.00 | 3.10 | 2.30 | 1.52 | 1.30 | 1.32 |
| | | 21 იანვარი | | | | | | |
| 23:45 | 7 | ლივერპული-ასტონ ვილა | 1.55 | 3.40 | 6.00 | 1.06 | 1.23 | 2.17 |
| | | **ინგლისი. ჩემპიონატი** | | | | | | |
| | | 19 იანვარი | | | | | | |
| 19:00 | 16 | სტოკი-პრესტონი | 1.65 | 3.40 | 4.75 | 1.11 | 1.22 | 1.98 |
| 21:20 | 17 | უოტფორდი-ჩარლტონი | 2.05 | 3.20 | 3.20 | 1.24 | 1.24 | 1.60 |
| 19:00 | 18 | ბლეკპული-იფსვიჩი | 2.25 | 3.20 | 2.85 | 1.32 | 1.25 | 1.50 |
| 19:00 | 19 | ვესტ ბრომვიჩი-კარდიფი | 1.60 | 3.50 | 5.20 | 1.09 | 1.22 | 2.09 |
| 19:00 | 20 | კოლჩესტერი-ჰალი | 2.45 | 3.20 | 2.60 | 1.38 | 1.26 | 1.43 |
| 19:00 | 21 | ქოვენთრი-ბარნლი | 2.15 | 3.20 | 3.10 | 1.28 | 1.26 | 1.57 |
| 19:00 | 22 | კრისტალ პალასი-ბრისტოლი | 1.85 | 3.20 | 4.00 | 1.17 | 1.26 | 1.77 |
| 19:00 | 23 | ნორვიჩი-ლესტერი | 2.05 | 3.20 | 3.20 | 1.24 | 1.24 | 1.60 |
| 19:00 | 24 | პლიმუთი-საუთჰემპტონი | 2.20 | 3.20 | 2.95 | 1.30 | 1.26 | 1.53 |
| 19:00 | 25 | ქპრ-ბარნსლი | 1.80 | 3.30 | 4.10 | 1.16 | 1.25 | 1.82 |
| 19:00 | 26 | სკანთორპი-ვულვერჰემპტონი | 2.55 | 3.20 | 2.50 | 1.41 | 1.26 | 1.40 |
| 16:45 | 27 | უენსდი-შეფილდი | 2.55 | 3.20 | 2.60 | 1.41 | 1.28 | 1.43 |
| | | **ინგლისი. I ლიგა** | | | | | | |
| | | 19 იანვარი | | | | | | |
| 19:00 | 29 | სუონსი-პორტ ვეილი | 1.30 | 4.30 | 8.80 | 1.00 | 1.13 | 2.88 |
| 19:00 | 30 | სუინდონი-ნოტინგემი | 2.80 | 3.30 | 2.25 | 1.51 | 1.24 | 1.33 |
| 19:00 | 31 | ბორნმუთი-საუთენდი | 2.60 | 3.30 | 2.40 | 1.45 | 1.24 | 1.38 |
| 19:00 | 32 | იოვილი-ოლდემი | 2.20 | 3.30 | 2.90 | 1.32 | 1.25 | 1.54 |
| 19:00 | 33 | ბრაიტონი-ჰადერსფილდი | 1.95 | 3.30 | 3.40 | 1.22 | 1.23 | 1.67 |
| 19:00 | 34 | როვერსი-უოლსოლი | 2.50 | 3.30 | 2.50 | 1.42 | 1.25 | 1.42 |
| 19:00 | 35 | კარლაილი-ქრიუ | 1.55 | 3.60 | 5.40 | 1.08 | 1.20 | 2.16 |
| 19:00 | 36 | ჯილინგემი-ნორთჰემპტონი | 1.95 | 3.30 | 3.40 | 1.22 | 1.23 | 1.67 |
| 19:00 | 38 | ლიდსი-დონკასტერი | 1.65 | 3.40 | 4.70 | 1.11 | 1.22 | 1.97 |
| 19:00 | 39 | ლეიტონი-ლუტონი | 1.65 | 3.60 | 4.40 | 1.13 | 1.20 | 1.98 |
| 19:00 | 40 | მილუოლი-ტრანმერი | 2.10 | 3.30 | 3.10 | 1.28 | 1.25 | 1.59 |
| | | **ინგლისი. II ლიგა** | | | | | | |
| | | 19 იანვარი | | | | | | |
| 19:00 | 43 | როტერჰემი-უიკომბი | 1.90 | 3.30 | 3.70 | 1.20 | 1.25 | 1.74 |
| 19:00 | 44 | შრიუსბერი-მორიკომბი | 2.35 | 3.30 | 2.70 | 1.37 | 1.25 | 1.48 |
| 19:00 | 45 | აკრინგტონი-ბრენტფორდი | 2.55 | 3.30 | 2.45 | 1.43 | 1.24 | 1.40 |
| 19:00 | 46 | ბარნეტი-პიტერბრო | 2.70 | 3.30 | 2.35 | 1.48 | 1.25 | 1.37 |
| 19:00 | 47 | ბერი-სტოკპორტი | 2.55 | 3.30 | 2.45 | 1.43 | 1.24 | 1.40 |
| 19:00 | 49 | დაგ ენდ რედი-გრიმსბი | 2.40 | 3.30 | 2.60 | 1.38 | 1.24 | 1.45 |
| 19:00 | 50 | მაკლსფილდი-ლინკოლნი | 2.00 | 3.30 | 3.20 | 1.24 | 1.23 | 1.62 |
| 19:00 | 51 | მენსფილდი-დარლინგტონი | 3.05 | 3.30 | 2.10 | 1.58 | 1.24 | 1.28 |
| 19:00 | 52 | ნოტსი-ჩესტერი | 2.40 | 3.30 | 2.60 | 1.38 | 1.24 | 1.45 |
| 19:00 | 53 | როჩდეილი-ბრედფორდი | 1.90 | 3.30 | 3.70 | 1.20 | 1.25 | 1.74 |
| 19:00 | 54 | რექსემი-დონსი | 4.80 | 3.60 | 1.60 | 2.05 | 1.20 | 1.10 |
| | | 21 იანვარი | | | | | | |
| 23:45 | 48 | ჩესტერფილდი-ჰერეფორდი | 2.20 | 3.30 | 2.90 | 1.32 | 1.25 | 1.54 |
| | | **ინგლისი. კონფერენსი** | | | | | | |
| | | 19 იანვარი | | | | | | |
| 19:00 | 56 | სალისბერი-ტორკი | 2.90 | 3.40 | 2.15 | 1.56 | 1.23 | 1.31 |
| 19:00 | 57 | ჰალიფაქსი-სტეფორდი | 1.50 | 3.60 | 6.00 | 1.05 | 1.20 | 2.25 |
| 19:00 | 58 | ვეიმუთი-უოკინგი | 2.15 | 3.40 | 2.90 | 1.31 | 1.23 | 1.56 |
| 19:00 | 60 | კიდერმინსტერი-ფარსლი | 1.55 | 3.50 | 5.70 | 1.07 | 1.21 | 2.16 |
| 19:00 | 61 | სტივენეიჯი-დროილსდენი | 1.25 | 5.00 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.33 |
| 19:00 | 62 | ალდერშოტი-ფორესტ გრინი | 1.60 | 3.50 | 5.20 | 1.09 | 1.22 | 2.09 |
| 19:00 | 63 | ალტრინჰემი-იორკი | 3.00 | 3.40 | 2.10 | 1.59 | 1.23 | 1.29 |
| 19:00 | 64 | გრეისი-კემბრიჯი | 2.35 | 3.30 | 2.70 | 1.37 | 1.25 | 1.48 |
| 19:00 | 65 | ბარტონი-ნორთვიჩი | 1.35 | 4.30 | 7.50 | 1.02 | 1.14 | 2.73 |
| 19:00 | 66 | ქროული-რაშდენი | 1.85 | 3.40 | 3.70 | 1.19 | 1.23 | 1.77 |
| 19:00 | 67 | ჰისტონი-ებსფლითი | 2.00 | 3.30 | 3.30 | 1.24 | 1.24 | 1.64 |
| | | **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | 19 იანვარი | | | | | | |
| 19:00 | 101 | სელტიკი-კილმარნოკი | 1.15 | 6.00 | 12.00 | 1.00 | 1.04 | 4.00 |
| 19:00 | 102 | სელტიკი-კილმარნოკი 0:1 | 1.55 | 3.40 | 4.00 | | | |
| 19:00 | 103 | დანდი იუნაიტედი-აბერდინი | 2.20 | 3.30 | 2.80 | 1.32 | 1.23 | 1.51 |
| 19:00 | 104 | გრეტნა-ფოლკირკი | 4.30 | 3.30 | 1.75 | 1.86 | 1.24 | 1.14 |
| 19:00 | 105 | გრეტნა-ფოლკირკი 1:0 | 1.80 | 3.40 | 3.20 | | | |
| 16:30 | 106 | ჰართსი-ჰიბერნიანი | 2.40 | 3.25 | 2.60 | 1.38 | 1.24 | 1.44 |
| 19:00 | 109 | სტ.მირენი-მოზერუელი | 2.75 | 3.35 | 2.25 | 1.51 | 1.23 | 1.34 |
| | | 20 იანვარი | | | | | | |
| 18:00 | 107 | ინვერნესი-რეინჯერსი | 6.00 | 3.75 | 1.45 | 2.30 | 1.16 | 1.04 |
| 18:00 | 108 | ინვერნესი-რეინჯერსი 1:0 | 2.35 | 3.40 | 2.35 | | | |
| | | **შოტლანდია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | 19 იანვარი | | | | | | |
| 19:00 | 110 | კლაიდი-დანდი | 3.00 | 3.50 | 2.00 | 1.61 | 1.20 | 1.27 |
| 19:00 | 111 | დანფერმლაინი-სტ.ჯონსტონი | 2.20 | 3.50 | 2.75 | 1.35 | 1.22 | 1.53 |
| 19:00 | 112 | მორტონი-ქუინი | 2.30 | 3.50 | 2.60 | 1.38 | 1.22 | 1.49 |
| 19:00 | 113 | პარტიკი-ჰამილტონი | 2.85 | 3.50 | 2.10 | 1.57 | 1.20 | 1.31 |
| 19:00 | 114 | სტირლინგი-ლივინგსტონი | 2.75 | 3.50 | 2.15 | 1.53 | 1.20 | 1.33 |
| | | **შოტლანდია. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | 19 იანვარი | | | | | | |
| 19:00 | 115 | ეარი-ალოა | 2.40 | 3.45 | 2.50 | 1.41 | 1.22 | 1.44 |
| 19:00 | 116 | ბრეჩინი-კოუდენბითი | 1.75 | 3.50 | 3.80 | 1.16 | 1.19 | 1.82 |
| 19:00 | 117 | პიტერჰედი-ბერიკი | 1.55 | 3.75 | 5.00 | 1.09 | 1.18 | 2.14 |
| 19:00 | 118 | ქუინზ პარკი-რეითი | 3.00 | 3.50 | 2.00 | 1.61 | 1.20 | 1.27 |
| 19:00 | 119 | როსი-ერდრი | 2.00 | 3.50 | 3.00 | 1.27 | 1.20 | 1.61 |
| | | **შოტლანდია. III დივიზიონი** | | | | | | |
| | | 19 იანვარი | | | | | | |
| 19:00 | 120 | ალბიონი-ისტ სტირლინგი | 2.05 | 3.40 | 2.95 | 1.27 | 1.20 | 1.57 |
| 19:00 | 121 | არბროთი-ელგინი | 1.85 | 3.50 | 3.50 | 1.21 | 1.21 | 1.75 |
| 19:00 | 122 | ისტ ფაიფი-ფორფარი | 1.20 | 5.50 | 10.00 | 1.00 | 1.07 | 3.54 |
| 19:00 | 123 | სტენჰაუზმური-მონტროუზი | 2.75 | 3.55 | 2.15 | 1.54 | 1.20 | 1.33 |
| 19:00 | 124 | სტრანრარი-დამბარტონი | 1.44 | 4.20 | 5.50 | 1.07 | 1.14 | 2.38 |
| | | **იტალია. სერია A** | | | | | | |
| | | 19 იანვარი | | | | | | |
| 23:30 | 125 | ფიორენტინა-ტორინო | 1.40 | 3.75 | 8.00 | 1.01 | 1.19 | 2.55 |
| 21:00 | 126 | ჯენოა-ატალანტა | 2.00 | 2.85 | 3.50 | 1.17 | 1.27 | 1.57 |
| | | 20 იანვარი | | | | | | |
| 23:30 | 127 | ინტერი-პარმა | 1.15 | 5.75 | 15.00 | 1.00 | 1.06 | 4.15 |
| 23:30 | 128 | ინტერი-პარმა 0:1 | 1.60 | 3.40 | 4.00 | | | |
| 18:00 | 129 | იუვენტუსი-სამპდორია | 1.40 | 3.75 | 8.00 | 1.01 | 1.19 | 2.55 |
| 18:00 | 130 | იუვენტუსი-სამპდორია 0:1 | 2.15 | 3.20 | 2.55 | | | |
| 18:00 | 131 | ლივორნო-ემპოლი | 2.00 | 2.80 | 4.00 | 1.16 | 1.33 | 1.64 |
| 18:00 | 132 | ნაპოლი-ლაციო | 2.00 | 3.00 | 3.75 | 1.20 | 1.30 | 1.66 |
| 18:00 | 133 | პალერმო-სიენა | 1.50 | 3.40 | 6.50 | 1.04 | 1.21 | 2.23 |
| 18:00 | 134 | პალერმო-სიენა 0:1 | 2.40 | 3.20 | 2.35 | | | |
| 18:00 | 135 | რეჯინა-კალიარი | 1.80 | 3.00 | 4.50 | 1.12 | 1.28 | 1.79 |
| 18:00 | 136 | რომა-კატანია | 1.23 | 4.50 | 12.00 | 1.00 | 1.11 | 3.27 |
| 18:00 | 137 | რომა-კატანია 0:1 | 1.75 | 3.40 | 3.30 | | | |
| 18:00 | 138 | უდინეზე-მილანი | 4.70 | 3.15 | 1.75 | 1.88 | 1.27 | 1.12 |
| | | **იტალია. სერია B** | | | | | | |
| | | 19 იანვარი | | | | | | |
| 19:00 | 139 | ვიჩენცა-ლეჩე | 3.40 | 2.80 | 2.15 | 1.53 | 1.31 | 1.21 |
| 19:00 | 140 | ალბინოლეფე-ფროზინონე | 1.75 | 2.90 | 4.85 | 1.09 | 1.28 | 1.81 |
| 19:00 | 141 | ბარი-კიევო | 3.75 | 2.85 | 2.00 | 1.61 | 1.30 | 1.17 |
| 19:00 | 142 | ბრეშა-აველინო | 1.45 | 3.40 | 6.20 | 1.01 | 1.17 | 2.19 |
| 19:00 | 143 | ჩეზენა-რავენა | 1.75 | 2.90 | 4.85 | 1.09 | 1.28 | 1.81 |
| 19:00 | 144 | გროსეტო-სპეცია | 1.85 | 2.85 | 4.35 | 1.12 | 1.29 | 1.72 |
| 19:00 | 145 | მანტოვა-პიაჩენცა | 1.60 | 3.20 | 5.70 | 1.06 | 1.24 | 2.04 |
| 19:00 | 146 | მესინა-რიმინი | 2.00 | 2.85 | 3.75 | 1.17 | 1.30 | 1.61 |
| 19:00 | 147 | მოდენა-ტრევიზო | 1.75 | 2.90 | 4.30 | 1.09 | 1.24 | 1.73 |
| 19:00 | 148 | პიზა-ბოლონია | 2.50 | 2.80 | 2.80 | 1.32 | 1.32 | 1.39 |
| 19:00 | 149 | ტრიესტინა-ასკოლი | 2.20 | 2.80 | 3.30 | 1.23 | 1.32 | 1.51 |
| | | **იტალია. სერია C1/A** | | | | | | |
| | | 20 იანვარი | | | | | | |
| 17:30 | 150 | პრო პატრია-კრემონეზე | 2.70 | 2.65 | 2.70 | 1.33 | 1.35 | 1.33 |
| 17:30 | 151 | ვენეცია-ლეკო | 1.45 | 3.45 | 7.80 | 1.02 | 1.22 | 2.39 |
| 17:30 | 152 | ფოლინიო-ლენიანო | 1.60 | 3.00 | 6.50 | 1.04 | 1.28 | 2.05 |
| 17:30 | 153 | კავეზე-მანფრედონია | 1.60 | 2.90 | 6.80 | 1.03 | 1.29 | 2.03 |
| 17:30 | 154 | პაგანეზე-მონცა | 2.60 | 2.65 | 2.85 | 1.31 | 1.35 | 1.37 |
| 17:30 | 155 | ტერნანა-ნოვარა | 2.15 | 2.70 | 3.60 | 1.19 | 1.34 | 1.54 |
